ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 9 მარტი 2004 №52 (2071) | ფასი 50 თეთრი


# სააკაშვილმა ჟირესი ჰაერში გაიცნო



გუშინ, გამთენიისას, პარიზისკენ გამგზავრებული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიასა და ჩვენი ნაკრების მომავალი მწვრთნელის ალენ ჟირესის გზები გუშინვე გაიყო — პრეზიდენტი საქმიანი შეხვედრისთვის პარიზშივე დარჩა, მწვრთნელმა კი მშობლიურ ტულუზს მიაშურა...

ფედერაციასა და მწვრთნელს შორის კონტრაქტი, ბუნებრივია, საფრანგეთში ჩასვლისთანავე ვერ გაფორმდებოდა, თუმც თბილისი-პარიზის თვითმფრინავში ერთი საინტერესო შეხვედრა შედგა: — საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და ალენ ჟირესს დაახლოებით ნახევარსაათიანი დიალოგი გაუმართავთ. მოგეხსენებათ, პრეზიდენტი სააკაშვილი პარიზისკენ ჩვეულებრივი რეისით მგზავრობდა, ამავე რეისით კი მერაბ ჟორდანია და ალენ ჟირესიც გაფრინდნენ.

მიხეილ სააკაშვილისა და ნაკრების მწვრთნელის დიალოგზე დაწვრილებით ვერაფერს ვიტყვით, თუმც, ვიცით, რომ ჟირესისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა ყოფილა ქვეყნის პრეზიდენტთან თვიმფრინავში შეხვედრა და მისი გაცნობა. პრეზიდენტმა მწვრთნელს წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში და დიდ მხარდაჭერას შეჰპირდა.

არ არის გამორიცხული, სააკაშვილი, ჟორდანია და ჟირესი ერთმანეთს დღეს პარიზშიც შეხვდნენ და კონტრაქტი საქართველოს პრეზიდენტისა და რამდენიმე საპატიო სტუმარის თანდასწრებით გაფორმდეს. ვნახოთ, ფედერაციასთან უკვე შეთანხმებული კონტრაქტის დეტალები ჩემს ადვოკატს უნდა გავაცნოო, თქვა გუშინწინდელ პრესკონფერენციაზე ალენ ჟირესმა...

კობა ინასარიძე



# ბოლო გაჩერება ოლდ ტრეფორდი

## მაურინიუმ მეოთხედფინალის ბილეთი შეუკვეთა

სად დააყენებს ჟოზე მაურინიუ „პორტუს" ავტობუსს, „მანჩესტერის" კარის წინ თუ უკან, დღეს „ოლდ ტრეფორდზე" გამოჩნდება.

ავტობუსი ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი არ არის, ბრიტანეთს ნასტუმრევი პორტუგალიელთა მწვრთნელი ამ ბოლო დროს გაუმართავად მოთამაშე სერ ალექს ფერგიუსონის გუნდს ასე დაემუქრა — სულაც არ ვაპირებ, ჩვენი ავტობუსი კარის წინ დავაყენოო. ჩვენი ვარაუდით, მაურინიუს მანჩესტერშიც შეტევა გადაუწყვეტია და საამსაქმოდ პორტუში ორგოლგამტანი სამხრეთაფრიკელი ბენი მაკკარტი შეუგულებია. ერთი სიტყვით, დღეს და ხვალ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო მატჩებია და „მანჩესტერ" — „პორტუს" მართლაც საამოდ სანახავი თამაშის მომლოდინეთ „იუვენტუს" — „დეპორტივოს", „ლიონ" — „სოსიედადის" და „ჩელსი" — „შტუტგარტის" შეხლა-თამაშები ბოლოსთვის მოგვიტოვებია.




დღეს ვიტორ ბაიას როი კინი ველარ გადაუვლის

# მომავალ შეხვედრამდე დამდეგ სეზონში

## შოთას იმედი – არველაძე 2006

*„რეინჯერსი“ ასოციაციის თასიდან „სელტიკმა“ დაიფრინა და ალექს მაკლიშის გუნდი ამ სეზონში უტიტულოდ დარჩება — რახან ყველაფერი ნათელია, შოთა არველაძე, როგორც იქნა, მტკივან მუხლზე ოპერაციას გაიკეთებს და ალბათ ამ სეზონში ველარც შეძლებს თამაშს*



— გლაზგოში ერთი კვირა კიდევ გავჩერდები და მერე ამსტერდამში ჩავალ საოპერაციოდ.

**— ამსტერდამში შენი ექიმი გყავს?**

— უბრალოდ, იმავე კლინიკაში ადრეც გამიკეთეს ამ მუხლზე ოპერაცია — ხრტილი მქონდა დაზიანებული და მენისკიც მაწუხებდა.

**— მუხლის ახლანდელი დიაგნოზი უკვე ცნობილია?**

— ზუსტი დიაგნოზი უცნობია, მაგრამ ოპერაცია ართროსკოპით კეთდება — მუხლის თავთან ორი მილი შედის, ერთში კამერაა დამონტაჟებული, მეორეზე დანა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში სასრუტი ან სხვა ხელსაწყო უკეთდება. მოკლედ, როცა მონიტორზე ყველაფერი გამოჩნდება, ზუსტი დიაგნოზიც მერე დადგინდება და ოპერაციაც გაკეთდება.

**— სარეაბილიტაციო პერიოდი რამდენ ხანს გასტანს?**

— საუკეთესო შემთხვევაში მინიმუმ 6-8 კვირა, თუ არადა, უფრო მეტი. თანაც მინდორზე გასვლას და თამაშს აღარ ვიჩქარებ — მუხლი სრულად უნდა მოვიშუშო.

— მთავარი ალბათ ისაა, რომ მუხლის ხრტილი გადასანერგი არ შეიქნეს.

— ეგრეა, თუ ხრტილი სერიოზულადაა დაზიანებული, მაშინ ყველაფერი ძალიან გართულდება.

**— 31 წლის ხარ — ტრავმები კარიერის მალე დამთავრებას გაფიქრებინებს?**

— მტკივანი მუხლით აქამდეც ასე თუ ისე ვთამაშობდი და ქირურგიული ჩარევის შემდეგ ალბათ უფრო გამიადვილდება ეს. იმედია, ორ სეზონს კიდევ ვითამაშებ.

**— ორი სეზონის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატია და იქ თამაში კარიერის კარგი გვირგვინია ნებისმიერი ფეხბურთელისთვის...**

— ჯერჯერობით მხოლოდ ჯანმრთელობაზე ვფიქრობ — ჩემთვის ახლა მთავარი ესაა.

**— ნაკრების მწვრთნელი საცაა ალენ ჟირესი გახდება — როგორ ფიქრობ, ჟირესი სახელგანთქმული ფეხბურთელი რომ იყო, ეს ფაქტორი ჩვენი ნაკრებისთვის არაფერს ნიშნავს?**

— კონკრეტულ საკითხებში ეს ფაქტორი დადებით როლს შეასრულებს, თუნდაც ყურადღების თვალსაზრისით ან ამხანაგური მატჩების დანიშვნისთვის. მაგრამ თუ ფეხბურთელმა დაინახა, რომ მწვრთნელმა თავისი საქმე კარგად არ იცის, სახელი ველარ გვიშველის. ჩვენი ნაკრების ადრეული მწვრთნელები ჟირესზე ნაკლები ფეხბურთელები როდი იყვნენ, უბრალოდ, ისინი საქართველოში დაიბადნენ, ჟირესი კი საფრანგეთში. თუმც ამით იმის თქმა არ მსურს, რომ ნაკრების წარუმატებლობები მხოლოდ მწვრთნელების ბრალი იყო.

**დავით თავართქილაძე**

# კობიაშვილს მუხლი დაუჟეჟეს

**გერმანიის** ჩემპიონატის ბოლო ტურში გელზენკირხენის „შალკემ“ შინ „ფრაიბურგს“ 3:0 მოუგო და შალკელი ლევან კობიაშვილი ტრავმის გამო 29-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა.

კობიაშვილს საგანგებო გამოკვლევა ჩაუტარეს და ტომოგრაფიაც გადაუღეს. ჩვენებური გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ექიმ როლფ ვალტერს გაესინჯა და დიაგნოზიც დაუსვეს — მარცხენა მუხლის დაბეჟილობა.

თუმც კობიაშვილი დაამშვიდეს და უთხრეს, რომ ცაცია მუხლის მოშუშება უოპერაციოდ მოხდება, მაგრამ მინიმუმ ორი კვირა მოუწევს უქმობა.

**ინგლისი**

კონფერენსლიგა
XXXIV ტური

**შრიუსბერი 3:1 ლეიფი**

**გერმანია**

მეორე ბუნდესლიგა
XXIII ტური

**დუისბურგი 2:1 ალემანია**

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXI ტური

**კიოლნი (მ) 1:2 შალკე (მ)**

**საფრანგეთი**

II დივიზიონი. XXVII ტური

**ლავალი 0:0 ისტრი**

**იტალია**

სერია B. XXXI ტური

**ასკოლი 0:0 ბარი**

**ტერნანა 1:1 კალიარი**

**პორტუგალია**

სუპერლიგა. XXV ტური

**რიუ ავე 0:0 ბრაგა**

**ჩეხეთი**

გამბრინუს ლიგა. XX ტური

**ბანიკი 0:0 ჟიჟკოვი**

**რუსეთი**

თასის 1/8 ფინალი. I მატჩი

**ალანია 1:0 შინიკი**



*როგორც იქნა, ნავსი გატეხა და მოიგო დავით მუჯირის „შტურმმა“. გრაცელებმა ზედიზედ ოთხ ფრეს გუშინ პირველი გამარჯვება მოაყოლეს „მატერსბურგთან“ საშინაო მატჩში. „შტურმმა“ პირველ ტაიმშივე მოამთავრა საქმე, როდესაც მეტოქეს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა. მუჯირმა კვლავაც ძირითადში ითამაშა და [illegible] მოპოვებული წილი დაიდო თავისიანთა გამარჯვებაში. ქართველს გოლი არ გაუტანია, თუმც ორჯერ ასისტენტობა გაუწია თანაგუნდელებს. შტურმელთა პირველი გოლიც მუჯირის წამოწყებულ კომბინაციას მოჰყვა. ბოლო ორ წელიწადში ეს ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო თამაში იყოო, — გვითხრა დავით მუჯირმა გუშინ, გრაცში რომ შევეხმიანეთ*

# შტურმს სახელი გაახსენდა

## მუჯირის კარგი თამაში

— მგონი, დასრულდა ჩვენი უიღბლობა. ამ მოგებას დიდი ხანი ველოდით. გუნდს ისედაც ეტყობოდა პროგრესი, მაგრამ არ გვიმართლებდა. „მატერსბურთან“ კი ყველაფერი გამოგვივიდა. 30-ე წუთზე უკვე 3:0 იყო, ტაიმის ბოლოს ერთიც გავიტანეთ და მეორე ნახევარი ფორმალობად იქცა, მერე აღარც შეცვლილა ანგარიში.

**— შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?**

— ძალიან. ასე კარგად დიდი ხანია, არ მითამაშია. ორი საგოლე პასი გავაკეთე, ანგარიშიც ჩემი წამოწყებული შეტევის მერე გაიხსნა. ასეთ თამაშში მეც მოვახერხებდი გატანას, მაგრამ მწვრთნელმა ტაქტიკური მოსაზრების გამო უკან დახეულ ნახევარმცველად მათამაშა.

**— აქამდე ძირითადად თავდამსხმელების უკან თამაშობდი...**

— ასე იყო, მაგრამ „შტურმს“ ისე სურდა „მატერსბურგთან“ მოგება, რომ მწვრთნელმა სამი თავდამსხმელით ირჩია თამაში. ასეთ სიტუაციაში კი მე უსაფრთხოების მიზნით უკან დამხია და ძირითადად ბურთის ამოტანით ვიყავი დაკავებული.

**— მომავალ ტურში დიდი ავსტრიული დერბი გელით „გრაცერთან“...**

— „შტურმ“—„გრაცერის“ დაპირისპირებას დიდი ისტორია აქვს. ამ გუნდების შეხვედრისას კარგა ხნით ადრე იწყება აჟიოტაჟი და სულ ბოლო ადგილზე რომ ვიყოთ, წარმოუდგენელია, სტადიონი პირთამდე არ გაივსოს. „გრაცერი“ ბოლო ტურის მერე პირველ ადგილზე აღმოჩნდა. ძალიან მაგარი გუნდია და, ბუნებრივია, როგორც აუტსაიდერებს, ისე გვიყურებენ. ჩვენ შეჭმას ეცდებიან, მაგრამ ძალიან დიდი ომი ელით. „შტურმს“ საამსეზონოდ მოკრძალებული მიზნები აქვს, მაგრამ „გრაცერთან“ თავს გაიგიჟებს. ყოველთვის ასეა, როგორც გამორჩეული დერბის დროს. ამიტომაც „შტურმის“ ხელმძღვანელობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მომავალ მატჩს და ამიტომაც ხუთშაბათამდე სლოვენიაში მივემგზავრებით შეკრებაზე. ნახევარ საათში მივდივართ.

**— ავსტრიაში არ მოხერხდებოდა შეკრება?**

— არა, აქ დიდთოვლობაა. ბუნებრივ ბალახზე ვარჯიში შეუძლებელია, ხელოვნურ საფარზე წვრთნა კი „გრაცერთან“ მატჩის წინ არ გამოგვადგება. ამიტომაც სლოვენიაში მივემგზავრებით. ეს შეკრება სხვა მხრივაც სასარგებლო იქნება, რაკილა უკვე კვირაში ორ-ორი მატჩის თამაში მოგვიწევს და დიდ დატვირთვებს რომ გავუძლოთ, კიდევ ერთი შეკრება არ გვაწყენს.

**პაატა ქვანტალიანი**

# როსტოვმა სკონტო დაარატიანა



**რატი ალექსიძის** „როსტოვმა“ გუშინ თურქულ შეკრებაზე ბოლო ამხანაგური შეხვედრა გამართა. როსტოველებმა რიგის „სკონტო“ 3:0 დაამარცხეს. როგორც ესენგეს თასზე, ამჯერზეც რიგელების დამარცხებაში ლომის წილი რატიმ დაიდო. ეტყობა, „როსტოვი“ ნელნელა პოულობს თავის თამაშს და გოლების გატანას შეუდგა რატი ალექსიძე, რომელსაც მას გუშინ ნამატჩევს შევეხმიანეთ.

— მეორე ტაიმიდან ვითამაშე. დილით თავს ცოტა სუსტად ვგრძნობდი, თან აქ ერთი ბრაზილიელი ფორვარდი ისინჯებოდა და მისი საქმეში ნახვაც სურდათ. ის ბრაზილიელი უკვე შინ გაუშვეს. თამაშში რომ ჩავერთე, ანგარიში 1:0 იყო. 2:0 ჩემი გოლით გახდა. ოსინოვის პასი მივიღე, მცველი ცრუმოძრაობით ჩამოვიცილე, საჯარიმოში შევედი, ოღონდ მახვილი კუთხიდან, მეკარემ იფიქრა, კარის გასწვრივ ჩააწვდისო, ამით ვისარგებლე და ახლო კუთხეში გავუტანე. მესამე გოლშიც მივიღე მონაწილეობა. საერთოდ, როგორც ადრე გითხარი, ისე მოხდა, „სკონტოსთან“ დასვენებულებმა ვითამაშეთ, ყოველგვარი ფიზიკური გადატვირთვის გარეშე და შედეგიც მოვიდა.

**— „სკონტოს“ ქართველებმა ითამაშეს?**

— სამივემ — კორღალიძემ, მენთეშაშვილმა და ყიფიანმა. ესენგეს თასის მერე რიგელებს რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ჰყავდათ, გუნდის გადახალისება დაიწყეს.

**— თურქეთის მერე „როსტოვს“ რა გეგმები აქვს?**

— 10 მარტს როსტოვში ვბრუნდებით, კლუბის ბაზაზე განვაგრძობთ მზადებას, 13 მარტს კი რუსეთის ჩემპიონატის პირველ მატჩში „მოსკვას“ ვმასპინძლობთ. ძალიან მინდა, სადებიუტო მატჩი გოლით, კარგი თამაშით და მოგებით აღვნიშნო.

**დავით ერაძე**

# ანრი მიშელი სპილოების პლაჟზე

**ანრი მიშელი** მაროკოს „რაჯა კასაბლანკას“ მწვრთნელობიდან გადადგა და სანაკრებო კარიერას დაუბრუნდა... ასეთი ინფორმაციის გაგებას ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ელოდა ქართველი ქომაგი. მიშელს საქართველოს ეროვნული გუნდი უნდა ჩაებარებინა, თბილისშიც გახლდათ ჩამოსული და ყველაფერი გადაწყვეტილ-მოგვარებული რომ გვეგონა, შეთანხმება ჩაიშალა. მიშელმა, „რაჯაში“ ვრჩებიო, მაგრამ გუშინ მართლაც დაუბრუნდა სანაკრებო კარიერას, თუმც ამას ჩვენთვის აღარანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

ანრი მიშელმა აფრიკული კოტ დივუარის, იგივე სპილოს ძვლის სანაპიროს ეროვნული ნაკრები ჩაიბარა. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ მიშელს „რაჯაში“ დასარჩენად არ უთქვამს საქართველოზე უარი.

მოდით, ჩავიკითხოთ „რაჯა კასაბლანკას“ პრეზიდენტის აბდესლამ ჰანათის სიტყვები და ცხადი გახდება, თუ რატომ ვერ ჩამოიყვანა სფფ-მ მიშელი საქართველოში.



„ჩვენთვის ძნელია ანრი მიშელთან განშორება. იგი ჩინებული სპეციალისტია და დიდი სამსახური გაგვიწია, მაგრამ მან ხელსაყრელი წინადადება მიიღო სპილოს ძვლის სანაპიროდან, ამიტომაც ჩვენთან კონტრაქტი გაწყვიტა“ — ეს თქვა აბდესლამ ჰანათმა და ჩვენც დასკვნა გავაკეთოთ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ანრი მიშელის მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილა. ისიც ვიკითხოთ, რას ითხოვდა ასეთ უსაშველოს ანრი მიშელი? ბევრსაც არაფერს, რადგან აფრიკული საზომითაც კი პატარა საფეხბურთო ქვეყანამ შეძლო ფრანგი სპეცილისტის გადაბირება.

**პაატა ქვანტალიანი**

## კალენდარი

საქართველოს 15 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი



პირველი ტურის მთავარი ამბავი, შარშანდელივით, „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ შეყრა იქნება

### I–VI ადგილები

| პირველი წრე | მეორე წრე |
|---|---|
| **პირველი ტური** | **მეექვსე ტური** |
| 18 მარტი, ხუთშაბათი | 24 აპრილი, შაბათი |
| დინამო – ლოკომოტივი | დილა – თბილისი |
| ვიტ ჯორჯია – სიონი | სიონი – ვიტ ჯორჯია |
| თბილისი – დილა | ლოკომოტივი – დინამო |
| **მეორე ტური** | **მეშვიდე ტური** |
| 26 მარტი, პარასკევი | 1 მაისი, შაბათი |
| დილა – ლოკომოტივი | ვიტ ჯორჯია – თბილისი |
| სიონი – დინამო | დინამო – სიონი |
| თბილისი – ვიტ ჯორჯია | ლოკომოტივი – დილა |
| **მესამე ტური** | **მერვე ტური** |
| 3 აპრილი, შაბათი | 9 მაისი, კვირა |
| ვიტ ჯორჯია – დილა | დილა – ვიტ ჯორჯია |
| დინამო – თბილისი | თბილისი – დინამო |
| ლოკომოტივი – სიონი | სიონი – ლოკომოტივი |
| **მეოთხე ტური** | **მეცხრე ტური** |
| 10 აპრილი, შაბათი | 17 მაისი, ორშაბათი |
| დილა – სიონი | დინამო – ვიტ ჯორჯია |
| თბილისი – ლოკომოტივი | ლოკომოტივი – თბილისი |
| ვიტ ჯორჯია – დინამო | სიონი – დილა |
| **მეხუთე ტური** | **მეათე ტური** |
| 16 აპრილი, პარასკევი | 22 მაისი, შაბათი |
| დინამო– დილა | დილა – დინამო |
| ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია | ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი |
| სიონი – თბილისი | თბილისი – სიონი |

### VII–XII ადგილები

| პირველი წრე | მეორე წრე |
|---|---|
| **პირველი ტური** | **მეექვსე ტური** |
| 18 მარტი, ხუთშაბათი | 24 აპრილი, შაბათი |
| ტორპედო – მერცხალი | მერცხალი – ტორპედო |
| ბათუმი - სპარტაკი | კოლხეთი – მცხეთა |
| 19 მარტი, პარასკევი | 25 აპრილი, კვირა |
| მცხეთა – კოლხეთი | სპარტაკი - ბათუმი |
| **მეორე ტური** | **მეშვიდე ტური** |
| 26 მარტი, პარასკევი | 1 მაისი, შაბათი |
| მერცხალი – კოლხეთი | კოლხეთი – მერცხალი |
| ტორპედო – ბათუმი | ბათუმი – ტორპედო |
| სპარტაკი – მცხეთა | 2 მაისი, კვირა |
| | მცხეთა – სპარტაკი |
| **მესამე ტური** | **მერვე ტური** |
| 3 აპრილი, შაბათი | 9 მაისი, კვირა |
| ბათუმი – მერცხალი | მერცხალი – ბათუმი |
| მცხეთა – ტორპედო | ტორპედო – მცხეთა |
| კოლხეთი – სპარტაკი | სპარტაკი – კოლხეთი |
| **მეოთხე ტური** | **მეცხრე ტური** |
| 10 აპრილი, შაბათი | 16 მაისი, კვირა |
| მერცხალი – სპარტაკი | სპარტაკი – მერცხალი |
| ტორპედო – კოლხეთი | კოლხეთი – ტორპედო |
| ბათუმი – მცხეთა | მცხეთა – ბათუმი |
| **მეხუთე ტური** | **მეათე ტური** |
| 16 აპრილი, პარასკევი | 22 მაისი, შაბათი |
| სპარტაკი – ტორპედო | მერცხალი – მცხეთა |
| მცხეთა – მერცხალი | ბათუმი – კოლხეთი |
| კოლხეთი – ბათუმი | ტორპედო – სპარტაკი |

# ბათუმი: აქ მე ვიცი და მანდაც მე უნდა ვიცოდე

## ასლანი ხალხმა დააჯერა

*„ბათუმი“, რომელსაც ჩემპიონატის ზეექვსეულში მოსახვედრად ერთი ნაბიჯი დააკლდა, მეორე ეტაპისთვის მზადებას ძველი გეგმით განაგრძობს. თუმც კი უამინდობამ ზღვისპირელებს საჩემპიონატო სამზადისი აურია — საკვირაო სათასო მატჩი „მცხეთასთან“ გადაიდო და „ბათუმის“ გეგმებიც ოდნავ შეიცვალა*



— გუნდს ორი-სამი კვირით ჩამოშორებული ვიყავი, ოჯახური პირობების გამო „ბათუმს“ ვერაფრით ვეხმარებოდი — გვითხრა გუნდის უფროსმა *ასლან ბალაძემ*, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით — „ბათუმს“ ახლახან დავუბრუნდი და, როგორც ვატყობ, ბიჭები ჩემპიონატს კარგ ფორმაში ხვდებიან. „მცხეთასთან“ გადადებულმა მატჩმა ჩვენს მოსამზადებელ გეგმებში კორექტივები კი შეიტანა, მაგრამ ეს არაფერი, მეორე ეტაპის დაწყებამდე „ბათუმს“ პრობლემები არ შეექმნება.

**— გუნდში ბევრი ცვლილებაა.**

— ირაკლი შენგელია და მიხეილ კაკალაძე წავიდნენ, მათ ნაცვლად კი „ქობულეთიდან“ ნახევარმცველი ირაკლი ხაჭაპურიძე და ბულგარეთიდან ავთანდილ გვიანიძე შემოგვემატნენ. ჩვენთან ვარჯიშობს ასევე მცველი ირაკლი ბარქაია, რომელიც საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელია და დარწმუნებული ვარ, გამოგვადგება. შემადგენლობის ძირითადი ბირთვი შევინარჩუნეთ და ეს მოსამზადებელი ეტაპი, შეიძლება ითქვას, დიდი ცვლილებების გარეშე გადავიტანეთ.

**— თუ ასეა, ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაგიჭირდეთ...**

— ალბათ არ გაგვიჭირდება, მაგრამ ვნახოთ... „ტორპედოსა“ და „კოლხეთის“ ძალაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მოღონიერდა „სპარტაკიც“, „მერცხალიც“ და „მცხეთაც“ არაფერს დათმობენ. მთავარია, შინ ქულები არ დავკარგოთ, ხუთ მატჩში ქულათა მაქსიმუმი უნდა ავიღოთ. შეძლებისდაგვარად თავს არც სტუმრად შევირცხვენთ.

**— თასისთვის ბრძოლას არ აპირებთ?**

— „ბათუმი“ ტრადიციულად სათასო გუნდად ითვლება. „ზუგდიდი“ პრობლემების გარეშე გავიარეთ, თუმც ყოველი ეტაპის შემდეგ ხომ უფრო ძლიერი მეტოქე მოდის. მაინცდამაინც დაუძლეველი ბარიერი ახლა არც „მცხეთაა“, მაგრამ თასის გათამაშებისას ხომ ყველაფერია მოსალოდნელი და ჩვენც მათთან შეხვედრისთვის ძალების მობილიზება მოგვიწევს.

**— მომავალში რას აპირებთ? როდის დაიბრუნებს „ბათუმი“ ძველ სახეს?**

— ვიმედოვნებთ, მომდევნო ჩემპიონატიდან „ბათუმი“ ისეთი გუნდი იქნება, როგორსაც ქომაგია ნაჩვევი და ისე ითამაშებს, როგორც ეკადრება. დაპირება ბევრი გვაქვს, თანაც ისეთი ხალხისგან, რომელთა სიტყვა და საქმე ერთია. დაფინანსების მხრივ „ბათუმს“ პრობლემები არც წლეულს აქვს, თუმც უფრო სერიოზული გუნდის გასაკეთებლად მეტი დახმარება გვჭირდება.

**კობა ინასარიძე**

# დავით მახარაძემ შემკრებელი კოლხეთის შეცდომები შეკრიბა

*უმაღლეს ლიგაში დარჩენას ფოთის „კოლხეთი“ დავით მახარაძის თაოსნობით შეეცდება. გუნდის ყოფილი ფეხბურთელი კლუბის მესვეურებმა მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. მახარაძემ გია ტყებუჩავა შეცვალა და სათასო მეთექვსმეტედფინალში ნარმატების შემდეგ გუშინწინ, მერვედფინალში პირველი მარცხი იწვნია „ვიტ ჯორჯიასთან“. ვეტერინარებმა 3:0 დაამარცხეს „ფაზისზე“ „კოლხები“, თუმც გუშინდელი საუბრისას ახალბედა მწვრთნელისთვის იმედგაცრუება არ შეგვიტყვია...*



— ჩემთვის დიდი პატივია, „კოლხეთის“ ხელმძღვანელები რომ მენდნენ. თავს არ დავზოგავ, რათა მათ იმედი არ გავუცრუო. „კოლხეთი“ ტრადიციულად მოწინავეთა შორის იყო ეროვნულ ჩემპიონატში და დღევანდელი ჩამორჩენა რაც შეიძლება მალე უნდა დავძლიოთ. ამისთვის უმაღლეს ლიგაში დარჩენაა საჭირო.

**— რა ვითარებაა დღესდღეობით კლუბში?**

— ნორმალური. ჩვენი პრობლემა აქამდე ხელფას-პრემიების დაგვიანება იყო, თუმც ხელმძღვანელობის ძალისხმევით ამ მხრივ ყველაფერი მოგვარდა. საწყენია, რომ დაგეგმილი შეკრებები ჩაგვეშალა. ჩვენ ბაკურიანში და ანთალიაში გვსურდა გამგზავრება, მაგრამ მაშინ ფინანსური საშუალება არ იყო. ფული რომ გამოჩნდა, სათასო მატჩები უნდა გვეთამაშა. ფედერაციას ვთხოვეთ, რომ შეკრების გამო თასის თამაშები გადაევადებინა ჩვენთვის, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და დავრჩით შეკრების გარეშე. არადა, უცხოეთში გამგზავრება დიდ სამსახურს გაგვიწევდა. ფოთში დარჩენილებმა სათასო მატჩების წინ ორი საკონტროლო შეხვედრა გავმართეთ. „სამგურალს“ 2:1 მოვუგეთ, „ბათუმს“ — 4:1.

**— „კოლხეთი“ რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. უიმათოდ გაგიჭირდებათ?**

— გუნდიდან წავიდნენ გაგუა და მალანია. თამაშს თავი დაანება თემურ ტულუშმა, ბოლო მომენტში სვანაძეც გაგვეცალა. ეს, რა თქმა უნდა, დანაკლისია, მაგრამ შეძლებისდაგვარად მათი შემცვლელებიც მოვიწვიეთ. გაბედავა, კალანდაძე და ქუთათელაძე უთუოდ გააძლიერებენ „კოლხეთს“. ჩვენთანაა ორი ახალგაზრდა: ექსსპარტაკელი წურწუმია და აქამდე „დინამო 2“-ში მოთამაშე კუნჭულია. ორივე პერსპექტიული ბიჭია.

**— სათასო მერვედფინალში „ვიტ ჯორჯიასთან“ საშინაო მატჩში მოულოდნელად დიდი ანგარიშით დამარცხდით...**

— ვერ ვიტყვი, რომ დიდი ანგარიშით მარცხი მოულოდნელი იყო, მეტიც, კანონზომიერი გახლდათ. „ვიტ ჯორჯიას“ ნაყოფიერი უცხოური შეკრება ჰქონდა გავლილი და სრულად მობილიზებული შეხვდა ჩვენთან თამაშს. უცხოური შეკრება კი მოუმზადებელი გუნდის წინააღმდეგ დიდი ფორაა. ამიტომაც პირწმინდად დავმარცხდით და ამ მარცხმა პირადად მე დიდი სამსახური გამიწია, რაკილა ცხადად დავინახე ჩემი გუნდის ის შეცდომები, რომელთა გამოსწორებაზე ფიქრიც უმთავრესი საზრუნავი იქნება.

**პაატა ქვანტალიანი**

# სინიორ რობინზონ



## ლევან ქებაძეს კუნძულზე თავიც გააქვს და გოლებიც

**14 მატჩში 12 გოლი** — ასეთია ლევან ქებაძის მონაგარი. ხმამაღალი შეფასებისთვის მხოლოდ ის გვიშლის ხელს, რომ ჩვენებური არც ისე პრესტიჟულ კვიპროსის ჩემპიონატში თამაშობს, თუმც, დაგვეთანხმებით, შედეგი მაინც ყურადსაღებია.

ქებაძის ყოჩაღობაზე ისიც მეტყველებს, რომ ტრავმის გამო 7 ტურში არ უთამაშია. ასე დაიწყო წლეულსაც — კვიპროსის ჩემპიონატის მეორე წრეში ქებაძე გვიან ჩაერთო და უკვე ზედიზედ ოთხი მატჩია, მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. ჩვენებურმა „ონისილოსს“ ბოლო წამზე გაუტანა და „პარალიმნიც“ მეექვსე ადგილზე დარჩა. მასპინძლები მარცხისგან ვერც გიორგი ქორიძემ იხსნა. ასე რომ, ქებაძეზე ქება ნაღდად ალალია.

საფეხბურთო ასაკს გვარიანად გადაცილებული თემურ ქეცბაიაც ძველებურად ყოჩობს და „პაფოსის“ ძლევაშიც თავისი სიტყვა თქვა. „ანართოსისმა“ ორი ქართული გოლით მოუგო უსახელო მეტოქეს — მოთამაშე-მწვრთნელს მხარი კლიმენტი ნიტაიშვილმაც აუბა.

ცალკე თემაა „შალკე“. გელზენკირხენელებმა ბუნდესლიგის პირველი წრე კი ჩააფლავეს, თუმც ახლა საქმე სხვაგვარადაა — „შალკემ“ მოგებას უხშირა და შაბათს იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგიც“ გადაყლაპა. სამწუხარო ისაა, რომ ლევან კობიაშვილი ტრავმის გამო 29-ე წუთზე შეიქნა შესაცვლელი. სრულად ითამაშა ალექსანდრე იაშვილმა, რომელიც იმ დღეს „ფრაიბურგის“ ეული ქართველი იყო, რადგან ცქიტიშვილს სამი ყვითელი ბარათის გამო თამაში არ შეეძლო.

ამ დღეებში სამი ქართული დებიუტიც შედგა. უკრაინაში ალექსანდრე ამისულაშვილმა ოფიციალურად პირველად მოირგო კიევის „დინამოს“ მაისურა. დინამოელები თასის ნახევარფინალში „დნიპროს“ ესტუმრნენ და 0:2 დამარცხდნენ. ალექსეი მიხაილიჩენკოს გუნდს ფინალში გასვლა ალბათ ძალიან გაუჭირდება. კიევში „დნიპროს“ სამი ბურთით დამარცხება თითქმის წარმოუდგენელი ჩანს, თუმც რა იცი, რა ხდება...

ბულგარეთში ამირან მუჯირმა დააგემოვნა არმიელობა. სოფიის ცსკა-მ სტუმრად „მაკედონსკა“ მოინელა და ქართველმა ნახევარმცველმაც ბოლო ნახევარი საათი ითამაშა ახალ გუნდში.

მოლდოვიდან რუსეთში გადაბარგებული ლევან გვაზავა კი ბოლო 13 წუთში მიეშველა „ალანიას“. ვლადიკავკაზელებმა თასის მეოთხედფინალში 1:0 სძლიეს „შინიკს“.

შოტლანდიაში ყველაფერი წააგო ქართველების „რეინჯერსმა“. „ჩაფრებს“ ასოციაციის თასილა ჰქონდათ იმედად, თუმც გუშინწინ ამასაც დაემშვიდობნენ. არველაძე-ხიზანიშვილის გუნდისთვის ყველაზე გულდასაწყვეტი ის არის, რომ ბოლო იმედიც მოსისხლე „სელტიკმა“ ჩაუკლა. არველაძემ „სელტიკის“ წინააღმდეგ გამაყუჩებლებით ითამაშა, სალსალამათი ხიზანიშვილი კი ბოლო მატჩებია, ალექს მაკლიშის უნდობლობით უქმობს.

არ უთამაშია კახა კალაძესაც. მისი „მილანი“ კი ჯერაც წაუქცეველ-მიუწვდომელია. მილანელებმა ამჯერად კერკეტი „სამპდორია“ იმსხვერპლეს. ბოლო მატჩებში სტაბილურობით გამორჩეულ კალაძის ზონას კი ჯუზეპე პანკარო აკონტროლებდა.

ავსტრიაში „შტურმმა“ გაიღვიძა. გრძელი წარუმატებელი სერია გრაცელებმა „მატერსბურგთან“ 4:0 მოგებით შეწყვიტეს. დავით მუჯირი ერთ-ერთი საუკეთესო იყო და სამ საგოლე კომბინაციაშიც გაერია. „მუმუ“ მწვრთნელმა მატჩის მიწურულს შეცვალა, „შტურმმა“ კი მე-7 ადგილზე აინაცვლა.

**კახა ზალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | | სად მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **იტალია. სერია A** | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | სამპდორია 3:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 4 | 0 | 1 |
| | | | **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ფრაიბურგი 3:0 | 29 | შეცვალეს | 22 | 0 | 6 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | შალკე 0:3 | 90 | | 21 | 6 | 11 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | შალკე 0:3 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 18 | 3 | 11 |
| | | | **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ოსნაბრიუკი 1:0 | 45 | შეცვალეს | 22 | 6 | 15 |
| დავით სირაძე | უნიონი | ს | ლიუბეკი 2:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 2 | 0 | 12 |
| | | | **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | მატერსბურგი 4:0 | 88 | შეცვალეს | 15 | 0 | 7 |
| | | | **შოტლანდია. ასოციაციის თასის მეოთხედფინალი** | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | სელტიკი 0:1 | 90 | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | სელტიკი 0:1 | 0 | სათადარიგო | | | |
| | | | **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | ბრედა 1:0 | 0 | ავადაა | 22 | 2 | 7 |
| | | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | აარაუ | შ | სერვეტი 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 2 | 3 | 7 |
| | | | **რუსეთი. სუპერთასი** | | | | | |
| გიორგი ლომაია | სპარტაკი | ნ | ცსკა 1:3დ.დ (1:1) | 0 | სათადარიგო | | | |
| | | | **რუსეთი. თასის მერვედფინალი** | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | რუბინი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | | | |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | ს | რუბინი 1:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | | | |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | ს | რუბინი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | | | |
| ვიტალი დარასელია | ალანია | შ | შინიკი 1:0 | 0 | განაცხადში არ იყო | | | |
| ლევან გვაზავა | ალანია | შ | შინიკი 1:0 | 13 | შეცვლაზე ითამაშა | | | |
| | | | **უკრაინა. თასის ნახევარფინალი** | | | | | |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | დინამო | ს | დნიპრო 0:2 | 90 | | 1 | 0 | |
| | | | **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | ადანემირი 0:4 | 0 | სათადარიგო | | | |
| | | | **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | ს | მაკედონსკა 2:0 | 28 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | ს | ჩერნომორეცი 3:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 1 | |
| | | | **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | პაფოსი 2:0 | 90 | 1 გოლი | 17 | 7 | 5 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | პაფოსი 2:0 | 90 | | 5 | 1 | 5 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | შ | პაფოსი 2:0 | 90 | 1 გოლი | 4 | 4 | 5 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | ონისილოსი 2:0 | 90 | 1 გოლი | 14 | 12 | 6 |
| ლევან მაღრაძე | აელ | ს | ანაგენისი 2:0 | 90 | | 15 | 3 | 4 |
| გიორგი ქორიძე | ონისილოსი | შ | პარალიმნი 2:0 | 90 | | 16 | 9 | 13 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# კიეველებს ვაკე უყვართ




*ახალი სეზონი კიევის „დინამოსთვის“ საკმაოდ უიღბლოდ დაიწყო. უკრაინის თასის ნახევარფინალში „დნიპროსთან“ 0:2 დამარცხდა და გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსები საკმაოდ გაირთულა. ალეკო ამისულაშვილმა 90 წუთი დაჰყო მოედანზე და, უკრაინულ გაზეთ „კომანდას“ შეფასებით, გაშვებულ გოლებში ბრალი არ მიუძღოდა...*

— „დნიპრომ“ ძალიან კარგი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. როგორც ჩანს, დონეცკის „შახტართან“ ერთად „დინამოს“ ჩემპიონატშიც დიდ წინააღმდეგობას გაუწევს. მატჩი ორმხრივი შეტევებით დაიწყო. პირველად გოლის გატანა ჩვენ შეგვეძლო, მაგრამ მასპინძლები ძელმა იხსნა. ტაიმი თანაბარ თამაშში გაილია. მერე ორი ბავშვური შეცდომა და დავისაჯეთ კიდეც.

— **მარცხნივ გათამაშეს თუ ცენტრალურ მცველად?**

— მარცხენა მცველი ვიყავი და ჩემს ფლანგზე კაცზე თამაშიც მევალებოდა. ძალიან ცუდია, როცა გუნდი აგებს, მაგრამ ერთადერთი სანუგეშო ისაა მაქვს, რომ ჩემს გამო გოლები არ გასულა.

— **ბინა სად მოგცეს?**

— ჩვენი ბაზა, „კონჩა ზასპა“ კიევიდან 15 კილომეტრშია, სამოთახიანი ბინა კი პეჩევსკის დასახლებაში, აქაურ ვაკეში მომცეს. მანქანის არჩევას ჯერ არ ვჩქარობ.

— **მეზობლად თუ გყავს თანაგუნდელები?**

— ეს კიევის ერთ-ერთი პრესტიჟული უბანია და თანაგუნდელების უმეტესობაც აქ ცხოვრობს, უშუალოდ ჩემი მეზობელი კი ვერპაკოვსკისია.

**დავით ერაძე**

# გვაზავას წუთები არ ჰყოფნის

*ვლადიკავკაზის „ალანიამ“ ახალი სეზონი სათასო დაპირისპირებით დაიწყო. მეტოქედ იაროსლავლის „შინიკი“ ჰყავდა. „ალანიამ“ 84-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლით გაიმარჯვა, თუმცა საპასუხო შეხვედრისთვის საკმაოდ რთული მატჩის პერსპექტივაც დაიტოვა. ამის თქმის უფლებას ვლადიკავკაზელთა თამაშის ხარისხი გვაძლევს. ლევან გვაზავამ, რომელიც თამაშში 77-ე წუთიდან ჩაერთო, გუშინ ეს გვითხრა...*

— ძალიან ძნელი თამაში იყო, ფაქტია, რომ ჩვენი გუნდი სასურველი სათამაშო კონდიციებისგან ძალიან შორსაა. ბუნებრივია, ვერც ჩემს თავზე ვიტყვი ვერაფერს, ვინაიდან ბოლოს შევედი შეცვლაზე და ვერ მოვასწარი თავის გამოჩენა.

— **მოსამზადებელზე კურბისი გაქებდა და ძირითადის მოთამაშედაც ივარაუდებოდი...**

— ასე იყო, თუმცა ბოლოს კურბისმა ახლებს გვითხრა, ძველი შემადგენლობის ცხრა კაცი უნდა ვათამაშოო. მოსამზადებელს რაც შეეხება, ძალიან კმაყოფილი ვარ. მსგავსი შეკრება ჯერ არ გამივლია და თავს საუცხოოდ ვგრძნობ.

— **თამაშის ყურებისას შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ოდნავ უკან დაგწიეს...**

— არა, ისევ მარჯვენა ნახევარმცველი ვარ, უბრალოდ, მოედანზე რომ შევედი, გოლი მალევე გავიტანეთ და უკან დახევა და დაცვის მიხმარება დამევალა.

— **„ზიმბრუსგან“ რით განსხვავდება „ალანია“?**

— იმით, რომ უფრო მაღალი დონის ჩემპიონატში ასპარეზობს და მწვრთნელიც სახელიანი ჰყავს. შეთამაშება კი ძალიან გვჭირდება.

**დავით ერაძე**



ლევან გვაზავას ოსური დებიუტი 13-წუთიანი გამოდგა

# ცინიკოსი კაპელო
## მანსინის რომაული ორიენტაცია


REUTERS ფოტო

ამანტინო მანსინიმ „ინტერთან“ იგოლავა

### იტალია
**სერია A. XXIV ტური**

**რომა 4:1 ინტერი**

1:0 კასანო (45), 2:0 მანსინი (63), 2:1 ვიერი (73), 3:1 ტოტი (89პ), 4:1 მანსინი (90)

რომა: პელიცოლი, პანუჩი, ძებინა, ვ. სამუელი, კანდელა, მანსინი, ემერსონი, დაკური (ტომაზი 76), ფ. ლიმა, ტოტი, ა. კასანო

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

ინტერი: ტოლდო, ი. კორდობა, ადანი, ფ. კანავარო, ჰელვეგი, ფარინოსი (ვან დერ მეიდე 83), კ. ძანეტი, ხ. ძანეტი, კილი გონსალესი (კარაგუნისი 67), ვიერი, ადრიანო (ო. მარტინსი 58)

მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი

გაფრთხილება: ჰელვეგი, ადანი, ფარინოსი, ემერსონი, კ. ძანეტი, ვიერი

გაძევება: კორდობა (87)

მსაჯი: როზეტი

60 000 მაყურებელი

ეს იყო ძალიან დაძაბული, ღია თამაში ბრწყინვალე გუნდის წინააღმდეგ. ერთი ეგ არის, ანგარიში ოდნავ დიდი გამოვიდა, არადა, მეტოქეებს ამდენად განსხვავებული ფეხბურთი არ უჩვენებიათ — თქვა მატჩის შემდეგ „რომას“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ, რომელსაც სიხარულისგან, როგორც ჩანს, დაავიწყდა, რომ მსაჯმა, როსეტიმ „ინტერის“ კარში გოლების ჩათვლა რეალური 4:0-ის მერე დაიწყო — პირველი სამი, საკმაოდ საეჭვო მიზეზების გამო არ ჩაითვალა.

შეგახსენებთ, რომ „სტადიო ოლიმპიკოზე“ გამართული ეს თამაში 24-ე ტურის ბოლო მატჩი გახლდათ, ანუ „რომამ“ სკუდეტოსთვის მებრძოლი კონკურენტი გუნდების შედეგები იცოდა. ერთი სიტყვით, აუცილებლად უნდა მოეგო.

ხოლო „ინტერს“ „რომა“ რომში 1999 წლის შემდეგ არ ჰყავდა დამარცხებული, ის თამაში ძალიან შთამბეჭდავი იყო და ამიტომაც შემორჩა გონებას — „შავ-ლურჯების“ სასარგებლოდ 5:4 დასრულდა.

„რომას“ არ ჰყავდა კრისტიან კივუ, ხოლო „ინტერს“ დისკვალიფიცირებულები, დეიან სტანკოვიჩი და ალვარო რეკობა — მილანელი დაშავებულების გრძელ სიას კი აქ აღარ ჩამოვთვლით, უბრალოდ ვიტყვით, რომ მართალია, ისინი ბევრნი არიან, მაგრამ ერთი იმდენი და ისეთივე ოსტატობის ხალხი ალბერტო ძაკერონის ჯანმრთელად ჰყავს, ასე რომ, ამ მხრივ კატასტროფულად ნამდვილად არ ჰქონდა საქმე.

მთავარი სხვა რამ არის: „რომა“ დიდებულ ფორმაშია. ფაბიო კაპელომ ფრანჩესკო ტოტის და ანტონიო კასანოს დუეტის გარშემო მართლაც ბრწყინვალე გუნდი ააწყო და ამ გუნდის შემჩერებელი „ინტერი“ ნამდვილად არ იყო. მეტიც, სამწუხაროა, რომ ეს გუნდი აი, ახლა, ამ წუთს და ამ წამს ჩემპიონთა ლიგაში არ მონაწილეობს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ისეთი გოლი, როგორიც „რომამ“ (ჩათვლილთაგან) რიგით მესამედ გაიტანა, უმაღლესი დონის შეჯიბრებას მეტად მაღალ ხარისხს შესძენდა. კასანოს ერთშეხება პასი მანსინისკენ, ბრაზილიელის ქარზე უსწრაფესი გარღვევა მარჯვნიდან ახლო-შუისკენ და დარტყმა, რომელსაც ტოტის მადლიანად მოქნეული ფეხიც დაემატა სილამაზისთვის — კაპიტანს ეგონა, რომ მანსინი დარტყმას ველარ შეძლებდა და საპირისპირო მხრიდან შევარდა გოლის შესაგლეჯად.

კაპელო: „ამ დონის ფეხბურთელებს ყოველთვის სურთ ლამაზი გოლების გატანა და ტექნიკაც უწყობთ ხელს, თუმცა ხანდახან, როდესაც 0:0-ია, ჩემი ფეხბურთელებისგან ესთეტიკაზე მეტად ცინიზმის გამოვლენას ვნატრობ. რაც შეეხება მანსინის, იგი მრავალმხრივია, მაგრამ ყველაზე ეფექტური 4-4-2-ის დროს არის, როდესაც ფლანგიდან კუთხით შეჭრას ავალებ. საერთოდაც, მგონია, რომ 4-4-2 ყველაზე დაბალანსებული და შეტევაზე ორიენტირებული სქემაა. საბოლოოდ მოგახსენებთ, რომ ჩვენ დიდებულად ვითამაშეთ, მაგრამ მერწმუნეთ, დიდებული იყო „ინტერიც“.

„ინტერის“ მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი: „ძალიან მწყინს, რომ ანგარიში ხალხს აფიქრებინებს, თითქოს მოწინააღმდეგემ დაგვჩაგრა, მაგრამ პენალტამდე, მსურს დაგარწმუნოთ, ანგარიშის გასათანაბრებლად ვიბრძოდით. დღევანდელი თამაში კრისტიანო ძანეტისა და ფრანსისკო ფარინოსზე მქონდა აწყობილი, მაგრამ სამწუხაროდ, ორივე ... მზად ისევ არ არის, როდესაც ისინი საბოლოოდ მოემზადებიან, სამთავდამსხმელო ტაქტიკა გაცილებით ეფექტური გახდება“.

და ბოლოს, „იუვენტუსის“ მწვრთნელი მარჩელო ლიპი: „მხოლოდ თოთხმეტი ფეხბურთელის ამარა ვარ, მაგრამ მაინც ჩვეულებრივად ვიბრძოლებთ. რთული მომენტია, მაგრამ გამოწვევას ვიღებთ. დიახ, მართალია, რომ ორიოდ თვეა გარკვეულ ასპექტებში გაგვიჭირდა და ბევრიც გვაკრიტიკეს, თუმცა კრიტიკა ცოტა მაინც გადაჭარბებული იყო. დამეთანხმებით, თუ ათასში ერთხელ გამოხდება სეზონი, რომელშიც რაიმე ჯილდოს ვერ მოვიგებთ, ბოდიშის მოხდა და თავის მართლება აბსურდული იქნება. ბოლოს და ბოლოს შვიდ, წელიწადში ერთხელ შეიძლება გამარჯვებული არ იყო, თუმცა მინდა შეგახსენოთ, რომ ერთადერთი იტალიური გუნდი ვართ სამივე შეჯიბრებაში ბრძოლას რომ განვაგრძნობთ“.

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 24 | 19 | 4 | 1 | 47:14 | 61 |
| რომა | 24 | 17 | 5 | 2 | 55:11 | 56 |
| იუვენტუსი | 24 | 17 | 4 | 3 | 50:27 | 55 |
| ლაციო | 23 | 12 | 4 | 7 | 33:23 | 40 |
| პარმა | 24 | 11 | 7 | 6 | 35:32 | 40 |
| უდინეზე | 24 | 10 | 7 | 7 | 29:26 | 37 |
| ინტერი | 24 | 10 | 6 | 8 | 40:27 | 36 |
| სამპდორია | 24 | 8 | 9 | 7 | 29:29 | 33 |
| კიევო | 24 | 8 | 6 | 10 | 25:27 | 30 |
| ბრეშა | 24 | 6 | 9 | 9 | 35:39 | 27 |
| ლეჩე | 24 | 7 | 5 | 12 | 28:39 | 26 |
| ბოლონია | 23 | 6 | 7 | 10 | 25:33 | 25 |
| მოდენა | 24 | 5 | 9 | 10 | 20:31 | 24 |
| სიენა | 24 | 5 | 8 | 11 | 28:36 | 23 |
| რეჯინა | 24 | 4 | 11 | 9 | 20:34 | 23 |
| ემპოლი | 24 | 5 | 6 | 13 | 18:39 | 21 |
| პერუჯა | 24 | 2 | 12 | 10 | 30:43 | 18 |
| ანკონა | 24 | 0 | 7 | 17 | 9:46 | 7 |

# რომში ტოტი ხმებაო
## რამდენი ვარსკვლავი ჩაეტევა რეალში?

*ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს „რომას“ ვარსკვლავსა და კაპიტანს, ფრანჩესკო ტოტის გულში მადრიდის „რეალში“ გადასვლა აქვს ამოჭრილი. მეტიც, ხანდახან ეს ყველაფერი ახირებას ჰგავს*

აი, ამ რამდენიმე დღის წინაც ახსენა ტოტიმ მადრიდის „სამეფო კლუბი“, კერძოდ:

„თუ დედაქალაქიდან წასვლას მაიძულებენ, ჯობს სარფიანად მაინც გამყიდონ და მოგება კლუბს მოახმარონ“ — თქვა ამ სეზონში საგანგებოდ აკაშკაშებულმა ვარსკვლავმა ტელეინტერვიუში. შეგახსენებთ, რომ არცთუ დიდი ხნის წინ „რომას“ რუსული კომპანია „ნაფტა-მოსკვა“ ყიდულობდა და იტალიური კლუბის ანგარიშზე რამდენიმე ასეული მილიონი ევროს დადებას აპირებდა, მაგრამ ამ დროს რომის პროკურატურამ და ფინანსურმა გვარდიამ ქვეყნის საფეხბურთო მეურნეობის ინსპექტორება წამოიწყეს და რუსული კომპანიაც დაფრთხა. ერთი სიტყვით, „რომა“ თავის პრობლემებს შერჩა, ხოლო კლუბის პრეზიდენტი, ფრანკო სენსი კვლავ მყიდველის ძიებაშია.

მდგომარეობას რამდენად განმუხტავს, უცნობია, მაგრამ ფულის შემომატების მიზნით მოსალოდნელია ემერსონის, ფრანსისკო ლიმას, ვენსენ კანდელას და იონ კარეუს გაყიდვა, თუმცა, როგორც ხედავთ, ტოტი გასაყიდთა სიაში თავისი გვარის ამოკითხვასაც ეშურება.

„თუ „რომადან“ წავალ, საუკეთესო რამ მადრიდის „რეალში“ გადასვლა იქნება. ბოლოს და ბოლოს, „რეალში“ უარესი ფეხბურთელებიც უკეთესებად ჩანან, რადგან მათ პრესა და ტელევიზია უწევს დიდ რეკლამას“ — ამბობს ფეხბურთელი, რომელსაც აშკარად წყდება გული, რომ მის თამაშს სხვადასხვა ჯილდოთი არავინ აფასებს და ამას იმით ხსნის, რომ თავად ნაკლებად რეკლამირებული გუნდის წევრია.

კაპიტნის ასეთ გამოხდომას კლუბი, ბუნებრივია, უპასუხოდ ვერ დატოვებდა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ იტალიის დედაქალაქში კარგად იციან, ტოტის სანაცვლოდ ბიუჯეტს სულ მცირე 50 მილიონ ევროთი შეივსებენ.

„რომას“ სპორტულმა დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ განაცხადა:

„თუ ტოტის სხვა გუნდში გადასვლა სურს, ვინაიდან ფიქრობს, რომ „რომა“ საკმარისად ბრძოლისუნარიანი არ არის, მაშინ ეს ის თემაა, რომელზეც შეიძლება ვიმსჯელოთ. თორემ, ისე, მისი გაყიდვა, მით უფრო იმ სეზონის წინ, რომელშიც ჩემპიონთა ლიგაში მოგვიწევს თამაში, თავში აზრად არავის მოვლია“.

კი მაგრამ, რამდენი ვარსკვლავი ეტევა ერთ „რეალში“? ეს კითხვა ბუნებრივად ჩნდება და ასევე ბუნებრივად გვახსენდება, რომ იანვარში მადრიდული კლუბის დირექტორმა ხორხე ვალდანომ რატომღაც ბრძანა, ზიდანი და ტოტი მოედანზე ერთმანეთს ხელს ვერ შეუშლიან, რადგან პირველს უფრო სიღრმიდან უყვარს თამაში, მეორეს კი წინიდანო. შემდეგ, როდესაც ამ გამონათქვამის გამო ერთი ამბავი ატყდა, ვალდანომ ხალხი იმით დაამშვიდა, რომ განზრახვა არაფერი ჰქონდა, უბრალოდ მსჯელობდა ზიდანისა და ტოტის თემაზე, რაც, ბუნებრივია, არ უნდა დავიჯეროთ, დირექტორები პრესაში უბრალოდ არ მსჯელობენ.



თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ამ სეზონის შემდეგ „რეალში“ დღეს მოთამაშე ვარსკვლავთაგან რომელიმე მართლაც წავიდეს. მაგალითად, ლუიშ ფიგუ ან... დევიდ ბექემი, რომელზეც (რა სისულელეა, მაგრამ) გაბედეს და თქვეს, „ჩელსიში“ გადავაო.

ნეტავ რა თანხის გადახდას აპირებს უძირო ყულაბის პატრონი რომან აბრამოვიჩი?

**პაპუნა ძედია**

# ჩემი ნამდვილი ისტორია

## შიფო ეწევა, წერს და მღერის

*2001 წელს ბელგიაში გამოკითხვა ჩაატარეს, რომელსაც იმ ხალხის ვინაობა უნდა გაერკვია, ვინც ბოლო ათი წლის მანძილზე ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. გამოკითხვაში ხმატკბილმა მომღერალმა სალვატორე ადამომ გაიმარჯვა. მან მცირედით გაუსწრო ჩოგბურთელ ჟიუსტინ ენენ-არდენს. პირველ ათეულში ენენ-არდენის გარდა კიდევ ორი სპორტსმენი მოხვდა: კიმ კლაისტერსი და ფეხბურთელი ენცო შიფო, ჰოლივუდის მსახიობმა ჟან კლოდ ვანდამმა კი ოცეულშიც ვერ შეაღწია*



1984-დან 1998-წლამდე გადაღებული ბელგიის ნაკრების ფოტოებში ერთი ფეხბურთელი გარეგნულად სხვათაგან აშკარად გამორჩეულია — ენცო შიფო, შავი თმებითა და სამხრეთული იერით. მისი მშობლები სიცილიელები არიან და მათ იტალიური ვინჩენცო თავისებურად, სიცილიურ ენცოდ გადააკეთეს.

ბელგიური ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშის კარიერის დასაწყისი იავარდებით მოფენილი არ ყოფილა, მაგრამ შემდეგ ისე აეწყო, როგორც ზღაპარში.

პირველი გუნდი, რომელშიც 14 წლის ბიჭი თამაშობდა, უსახელო „ლა ლუვიე“ გახლდათ. იგი „ანდერლეხტის“ მზვერავებმა შეამჩნიეს და მისი დებიუტი დიდი კლუბის მაისურით 1983-ში შედგა, როცა 17 წლის იყო, მომდევნო სეზონში კი ენცო შიფომ გაიბრწყინა.

„ანდერლეხტის“ შემადგენლობაში უეფას თასი მოიგო, ქვეყანაში საუკეთესოდ აღიარეს და ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს. მას, როგორც იტალიის შვილს, „სკუადრა ატურაში“ შეეძლო თამაში, მაგრამ თანამემამულეთაგან მიწვევას არ დაელოდა და ბელგიელობა არჩია.

ევროპის 1984 წლის ჩემპიონატზე შიფო ყველაზე ახალგაზრდა აღმოჩნდა — 18 წლის და 115 დღის. ეს ჯერჯერობით დაუმხობელი რეკორდია.

მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალში ნაკრების გასვლა „წითლების“ ისტორიაში უდიდესი მიღწევაა, არადა, მექსიკაში ბელგიელებისგან ასეთ „გამოხტომას“ არ ელოდნენ.

ენცო შიფო თანაგუნდელ ერიკ გერეტსთან ერთად მაშინ სიმბოლურ ნაკრებში მარადონას, პლატინისა და მათეუსის გვერდით დააყენეს.

რა თქმა უნდა, წარმატების სულისჩამდგმელი დიდებული მწვრთნელი გი ტისი გახლდათ. თავის დროზე ეროვნულ გუნდში შიფოს აყვანა მან დაიჟინა და არც შემცდარა. ფეხბურთელის აზრით, გი ტისი საკვირველი ადამიანი და მწვრთნელია. „დუნიაზე ალბათ არ მოიძებნება კაცი, რომელიც მასზე აუგს იტყვის“ — თქვა ენცომ.

მექსიკაში თავგამოჩენილი მოთამაშისთვის საკლუბო დონეზე ახალი პერსპექტივები გაჩნდა. 1987 წელს მან მილანის „ინტერთან“ კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ იტალიაში ვერ დამკვიდრდა და მომდევნო სეზონში მილანელებმა „ბორდოში“ გაუშვეს.

შიფოს „ბორდოშიც“ არ გაუმართლა. ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა და სათადარიგოთა სკამის ხეხვით მობეზრებულმა „ოსერს“ მიაშურა.

„ოსერში“ ბელგიელი გაიხსნა, ათამაშდა და 1990 წელს საფრანგეთის საუკეთესო უცხოელისთვის დაწესებული ჯილდო დაიმსახურა. მას იმავე ზაფხულს იტალიაში მსოფლიოს ჩემპიონატი ელოდა.

„ვფიქრობ, რომ იტალიაში კარგი შანსი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ოთხი მატჩი ვითამაშეთ და ვგრძნობდი, მეტიც შეგვეძლო. აპენინებზე მეოცე საუკენის საუკეთესო ბელგიის ნაკრების ჩავიდა, თუმც წარუმატებლად — მერვედფინალიდან გამოგვთიშეს. საოცარია, რომ 1986-ში ჩვენგან კარგ თამაშს არ ელოდნენ იტალიაში კი კარგი გუნდი გვყავდა და ჩავფლავდით“.

წარუმატებლობის მიუხედავად, ენცო შიფო „ტორინოს“ მესვეურებს მოეწონათ და მან კიდევ ერთი შანსი მიიღო, რომ სერია A-სთვის თავისი ძალა ეჩვენებინა. ბელგიელმა ეს შეძლო, რადგან საშუალო დონის „ტორინო“ უეფას თასის ფინალში გავიდა.

ტურინიდან ფეხბურთელი „მონაკოში“ გადაბარგდა და იქ ოთხი სეზონი გაატარა, ხოლო 1997 წელს მშობლიურ „ანდერლეხტში“ დაბრუნდა.

საფრანგეთში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი შიფოს ბოლო გაელვება იყო. „მე ვგრძნობ, რომ ჯანი უკვე მღალატობს. 32 წლისა კარიერის დასრულებაზე ვფიქრობ“ — თქვა მაშინ ფეხბურთელმა, რომელმაც 84 სანაკრებო მატჩი ითამაშა და 18 გოლი გაიტანა.

„ანდერლეხტში“ „ბებერი“ ძირითად შემადგენლობას გაუუცხოვდა და მწვრთნელობა გადაწყვიტა. მან მეგობართა დახმარებით თანხები გამოძებნა და 300 ათას დოლარად იმ დროს გაჭირვებულ „შარლერუას“ აქციათა პაკეტი იყიდა.

კლუბის ვალი მილიონ 200 ათას დოლარს უკაკუნებდა. თავიდან შიფო მოთამაშე-მწვრთნელი იყო და დროებით გენერალური მენეჯერობაც იკისრა. 15 მატჩში მხოლოდ სამი გოლი გაიტანა და ბუცები კედელზე ჩამოკიდა. თან ექიმებმა დასვენება ურჩიეს, რადგან ქრონიკული ართრიტი აღმოაჩნდა. „მე არ გავრისკავ და მოედანზე აღარ გავალ, მაგრამ ფეხბურთიდან წასვლას არ ვაპირებ“ — თქვა მან.

ენცო შიფომ მწვრთნელობა გააგრძელა, თუმც გუნდში არსებული კონფლიქტების გამო 2000 წელს კონტრაქტი გაწყვიტა.

იმ სეზონის ერთ-ერთ მატჩში „შარლერუა“ „აალსტს“ ხვდებოდა. მეთორმეტე წუთისთვის მასპინძლები 0:2-ს აგებდნენ, შემდეგ კი კიდევ ორი გოლი გაუშვეს. გაბრაზებულმა შიფომ ნამატჩევს თავისი ფეხბურთელები ქრთამის აღებაში და შეხვედრის განგებს დათმობაში დაადანაშაულა. აქ დასრულდა მისი სამწვრთნელო კარიერა.

ამჟამად ენცო შიფო მთლად უსაქმოდ არაა. მან უკვე მოასწრო ავტობიოგრაფიული წიგნის — „ჩემი ნამდვილი ისტორია“ — დაწერა. გარდა ამისა, ძალა მუსიკაშიც მოსინჯა და რომანტიული სიმღერებით გაჟღენთილი ალბომი ჩაწერა. მოქილიკე გულშემატკივრებმა იგი თვით სალვატორე ადამოს შეადარეს, ნიჭიერი კაცია და რას ვერჩითო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფიქრები ომზე

## კანი ბაიერნს ჩაუღრმავდა

*ბავარიელი ოლივერ კანი დიდი მეკარე და გამოუსწორებელი ოპტიმისტია — „რეალთან“ ჯახს შეურყეველი ნებისყოფით ელოდება და მრისხანე კასტილიელების მერვედფინალიდან გამოთიშვასაც სავსებით რეალურად მიიჩნევს. სახელგანთქმულ გერმანელთან გასაუბრება მადრიდულმა „ასმა“, „რეალის“ უპირველესმა მეხოტბე გაზეთმა გადაწყვიტა*

— როგორი განწყობით ხვდება მიუნხენის „ბაიერნი“ „რეალთან“ მატჩს?

— დიდი იმედით და გამარჯვების ძლიერი სურვილით. „ოლიმპიაშტადიონზე“ ესპანელებს თამაშის თითქმის ყველა ასპექტში ვაჯობეთ და მერწმუნეთ, „ბაიერნის“ მეტოქეს მადრიდშიც გაუჭირდება. ვიცით, რომ ჩვენ, თითოეულმა ფეხბურთელმა, ამ შეხვედრაში ძალთა მაქსიმუმი უნდა გავიღოთ მეოთხედფინალში გასასვლელად. პირადად მე ბუნდესლიგაში „ლევერკუზენთან“ შაბათს ჩატარებული მატჩის შემდეგ მხოლოდ „რეალთან“ მომავალ ომზე ვფიქრობ.

— თქვენ უმოკლეს დროში კრიტიკის ქარცეცხლიდან ზღვა ქება-დიდებამდე მიხვედით. ჯერ იყო, კანის სახელი ლაფში ამოსვარეს, ხოლო „ბაიერთან“ მატჩის შემდეგ ევროპა ბავარიელთა მეკარის სიჩაუქეზე ალაპარაკდა. რას იტყვით ამის შესახებ?



— მეკარის ცხოვრება და კარიერა საშინლად ცვალებადია. რაც შეეხება „ბაიერთან“ მოგებას — ალბათ ფიქრობთ, რომ „ბაიერნის“ თამაშით კმაყოფილი დავრჩი. არავითარ შემთხვევაში — ბევრი ოფლი დაღვარე, მეტოქემ ბლომად სახიფათო ეპიზოდები შექმნა, ეს კი, ჩემი აზრით, კარგს არაფერს მოასწავებს. თუ გუნდი „რეალთანაც“ ასე უყურადღებოდ მოიქცა, გამარჯვებაზე ველარც ვიოცნებებთ.

— ამჟამად როგორ გრძნობთ თავს?

— შესანიშნავად, მაგრამ მთავარი ახლა ის კი არ არის, კანი როგორ გამოიყურება, არამედ ის, რომ თავად მიუნხენის „ბაიერნმა“ რაიმე ავბედითი მიზეზის გამო საამსეზონო ყველაზე საპასუხისმგებლო მატჩი არ ჩააგდოს. ჯერჯერობით ბედს არ ვუჩივით და ჩვენი გუნდის მებრძოლი ხასიათის იმედიც გვაქვს.

— სანიოლს ტრავმა აწუხებს და შესაბამისად მატჩს გამოტოვებს...

— ჯერ კიდევ ვიმედოვნებ, რომ სანიოლი მადრიდში ჩვენს გვერდით იქნება. როკე სანტა კრუზსაც სეზონის დასაწყისში მსგავსი სატკივარი ჰქონდა, ექიმთა დროული ჩარევის მერე კი სამ დღეში თამაში უპრობლემოდ მოახერხა. ალბათ „ბაიერნის“ სამედიცინო შტაბი კვლავინდებურად შეძლებს მოულოდნელი ტრავმების დაძლევას.

— როი მაკაის შესახებ რას ფიქრობთ? ჰოლანდიელი ისევ გოლებზე დაგეშილ „მანქანად“ და მეკარეთა რისხვად რჩება?

— მსოფლიოს ყველა დიდი კლუბი მაკაის დარი ფეხბურთელების ძიებაშია. როი საოცარი თავდამსხმელია, რაღაცნაირად ახერხებს, რომ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში შეუმჩნეველი დარჩეს, მერე კი ელვისებურად ამოყვინთოს და მოწინააღმდეგეს ერთი ზუსტი დარტყმით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანოს. ჩემი სურვილი იქნებოდა, მსგავს მოიერიშეებს „ბაიერნის“ წინააღმდეგ არ ეთამაშათ.

— ადრეც ყოფილხართ „სანტიაგო ბერნაბეუზე“. მოგწონთ იქაური გარემო?

— უკანასკნელი წლების განმავლობაში მადრიდში მართლაც რამდენიმე შეხვედრა ჩავატარეთ და „ბერნაბეუმ“ ფანტასტიკური დახვედრა მოგვიწყო. „ბაიერნ“ — „რეალის“ შერკინება ეს უბრალოდ ფეხბურთი არ არის, უფრო განსაკუთრებულ ზეიმს ჰგავს.

— „რეალზე“ რას ფიქრობთ. მიუნხენური მატჩის მერე ამ გუნდზე წარმოდგენა ხომ არ შეგცვლიათ?

— არა. „რეალი“ ჩემთვის მსოფლიოს საუკეთესო კლუბად რჩება. მიუხედავად ამისა, მათი ჩემპიონთა ლიგიდან გამოთიშვა მიუნხენის „ბაიერნს“ შეუძლია.

— მასპინძლებს რონალდო და რობერტო კარლოსი არ ეყოლებათ. ეს მათ თამაშზე ზეგავლენას მოახდენს?

— ეს აბსოლუტურად არ მაინტერესებს, ჩვენ ჩვენს თამაშში ჩაღრმავება გვმართებს, დიდი მატჩის მოგება მხოლოდ ამ გზით შეიძლება...

# ნახმარი წინდების ამბავი ბრაზილიელი დეკოს პორტუგალიური მომავალი

*ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელებმა თვით ჯოვანი ელბერს არ აღირსეს ქვეყნის მთავარ გუნდში თამაში. ასეთ ვითარებაში ანდერსონ ლუის დე სოუზას ფაქტობრივად, „პენტაკამპეონებში“ მოხვედრის შანსი არ ჰქონდა და ეს მან შვენივრად იცოდა. „პორტუს“ ჯილამ, ანდერსონ ლუის დე სოუზამ, ანუ დეკომ, თავისი კლასი შარშან დაამტკიცა. მან „პორტუს“ ჩემპიონობაში და უეფას თასის მოგებაში ლომის წილი ჩადო. ჩია ბრაზილიელმა თავისი ჭკვიანური ბურთაობით პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელის, ლუიშ ფელიპე სკოლარის ყურადღება უმალ მიიპყრო და როცა პორტუგალიის მოქალაქეობის მიღება შესთავაზეს, ცხადია, დათანხმდა. ეს ნაბიჯი რომ არ გადაედგა, კარიერას ისე ჩაამთავრებდა, სანაკრებო ფეხბურთის გემოს ვერ გასინჯავდა. ახლა იგი სკოლარის თავკაცობით ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. ვინ არის დეკო? ამას თავად ფეხბურთელისგან შევიტყობთ*

### ბრაზილიაზე

ბრაზილიაში დავიბადე და როცა პორტუგალიის მაისურით თანამემამულეთა წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ გავედი, გული ორად გამეპო, მაგრამ როგორც კი ბურთს შევეხე, იმ წუთიდან მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობდი და გულისტკივილიც გამიყუჩდა. რაც შეეხება გოლს „პენტაკამპეონების“ კარში, ეს განსაკუთრებული ამბავია. იმიტომ კი არა, „ყვითლებს“ რომ გავუტანე, უბრალოდ, ლამაზი იყო, თან მოქალაქეობის შეცვლის გამო ჩემს გარშემო ატეხილ აურზაურს ბოლო მოვუღე.

### ჯარიმებზე

როცა მეუხეშებიან, მსახიობივით წაქცევაზე არასოდეს ვფიქრობ. იმ მომენტში ჟინი მიათკეცდება და გოლის გატანის სურვილი უფრო მიმძაფრდება. თუ მცველი გზას მიკეტავს, უჯარიმოდ ბურთს ვერ ამართმევს, რადგან ჩემი მოძრაობით და ფინტებით წესის დარღვევას vაიძულებ. მსიამოვნებს, როცა მეტოქეს პირისპირ ვჯობნი.

### მსოფლიოში საუკეთესოზე

ზინედინ ზიდანი უძლიერესია. ფრანგი ბურთს „ესაუბრება“, ის ფანტასტიურია, თუმც ვფიქრობ, რომ ერთი ერთზე მე უკეთ შემიძლია მეურვის წინააღმდეგობის დაძლევა, ვიდრე ზიდანს.

### პორტუზე

„პორტუმ“ ძალიან ბევრი რამ მომცა. „თეთრ-ლურჯები“ პირველ რიგში გულშემატკივრებით გამოირჩევიან. ქომაგი ქუჩაში თუ შეგხვდა, მხარზე ხელს მოგითათუნებს და გაგამხნევებს. ეს განსაკუთრებით კარგია გუნდის ახალწვეულებისთვის. შარშან წარმატებული სეზონი გვქონდა. მთავარია, რომ ტრავმებს გადავურჩი, რაც ადრე მტანჯავდა და მუდმივად თამაშის საშუალებას არ მაძლევდა.

### მწვრთნელებზე

„პორტუს“ ყოფილი მწვრთნელის, ფერნანდუ სანტუშისა და ლუიშ ფელიპე სკოლარის მეტად მადლიერი ვარ, ხოლო ჟოზე მაურინიუ ერთ-ერთი საუკეთესოა მათ შორის, ვისაც ვიცნობ.

### ფეხბურთზე

გულშემატკივრებისთვის ეს გართობაა და ფეხბურთი შოუ უნდა იყოს. კარგად თუ ითამაშებ და წააგებ, აუგი არავის დასცდება, მაგრამ მე მუდამ საამო ფეხბურთით გამარჯვება მსურს. მინდა, რომ ქომაგებმა „პორტუს“ თამაშით ისიამოვნონ.

### მეტოქეებზე

ჩვენ არავისი გვეშინია, თუმც მახსოვს, ჩემპიონთა ლიგაში „იუვენტუსთან“ როგორ გაგვიჭირდა. ტურინელები თითქოს აძინებენ მოწინააღმდეგეს, შემდეგ უცბად გაუტანენ და მატჩიც მთავრდება. ფსიქოლოგიურად ისინი ძალიან ძლიერები არიან. „რეალთან“ ბრძოლაც არ ყოფილა იოლი, მათ ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავთ და ლამაზად თამაშობენ. ვფიქრობ, რომ დევიდ ბექემის შეძენა ზედმეტი იყო, თუმც ეს მადრიდელთა საქმეა.

### ბავშვობაზე

სილატაკეში გავიზარდე. ნახმარი წინდებისგან ბურთს ვაკეთებდით და ასფალტზე ვთამაშობდით. სიღარიბემ მასწავლა მოვლა და გაფრთხილება ყველაფრისა, რაც გამაჩნია. ასეთი რომ ვარ, ოჯახის დამსახურებაა.

### ამბიციებზე

მსურს, მოვიგო ყველაფერი, რისი მოგებაც „პორტუსთან“ ერთად შემიძლია. ვიცი, რომ პორტუგალიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონობის რეალური შანსი აქვს. ოდესღაც ამ ქვეყნიდან და გუნდიდან ალბათ უცხო მხარეში წავალ და ეს კიდევ ერთი გამოცდა იქნება ჩემთვის. მე მიყვარს სირთულეები.

**ვაჟა ხუციშვილი**



## ესპანეთი

**პრიმერადივიზიონი XXVII ტური**

**ატლეტიკო 1:1 მურსია**

0:1 ლუის გარსია (55), 1:1 ნანო (89)

ატლეტიკო: არაგონესესი, გარსია კალვო, სერხი, დე ლოს სანტოსი (ორტისი 65), ხორხე, სიმეონე, აგილერა (პაუნოვიჩი 78), ნანო, იბაგასა, ფ. ტორესი, ნიკოლაიდისი (არისმენდი 65)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
მურსია: ბონანო, ლოეშბორი (კუადრადო 46), ურტადო, კარერასი, სებასი (განსედო 37), ასკარატე, აკიარი, ვალერა, ესნაიდერი, ლუის გარსია (დ. იენსენი 77), რიჩი
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
გაფრთხილება: აკიარი, კუადრადო, სიმეონე, განსედო, ვალერა, ბონანო, გარსია კალვო
გაძევება: ხორხე (79)
მსაჯი: კარმონა მენდესი
35 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 27 | 18 | 6 | 3 | 54:29 | 60 |
| ვალენსია | 27 | 16 | 6 | 5 | 50:20 | 54 |
| დეპორტივო | 27 | 15 | 5 | 7 | 43:23 | 50 |
| ბარსელონა | 27 | 14 | 7 | 6 | 45:32 | 49 |
| ბილბაო | 27 | 11 | 8 | 8 | 34:33 | 41 |
| ატლეტიკო | 27 | 11 | 8 | 8 | 33:32 | 41 |
| ოსასუნა | 27 | 9 | 12 | 6 | 27:23 | 39 |
| სევილია | 27 | 10 | 8 | 9 | 38:28 | 38 |
| ბეტისი | 27 | 9 | 10 | 8 | 34:29 | 37 |
| ვილიარეალი | 27 | 10 | 6 | 11 | 36:37 | 36 |
| მალაგა | 27 | 11 | 2 | 14 | 36:41 | 35 |
| რასინგი | 27 | 9 | 7 | 11 | 34:40 | 34 |
| ვალიადოლიდი | 27 | 8 | 8 | 11 | 33:39 | 32 |
| სოსიედადი | 27 | 8 | 8 | 11 | 31:38 | 32 |
| სარაგოსა | 27 | 9 | 5 | 13 | 30:37 | 32 |
| ალბასეტე | 27 | 9 | 5 | 13 | 26:34 | 32 |
| მალიორკა | 27 | 8 | 5 | 14 | 31:47 | 29 |
| სელტა | 27 | 6 | 9 | 12 | 36:51 | 27 |
| ესპანიოლი | 27 | 8 | 2 | 17 | 31:49 | 26 |
| მურსია | 27 | 2 | 11 | 14 | 23:43 | 17 |

## მექსიკა

**კლაუსურა. IX ტური**

ხაგუარესი — ტეკოსი 3:3; მორელია — კრუზ ასული 2:0; გვადალახარა — ირაპუატო 2:0; სან ლუისი — ატლასი 1:4; ტიგრესი — პუებლა 2:3; პაჩუკა — ვერაკრუსი 2:1; ტოლუკა — ნეკაქსა 2:2; ატლანტე — მონტერეი 0:0; კერეტარო — უნამი 3:3; სანტოს ლაგუნა — ამერიკა 0:1

## ინგლისი

**ასოციაციის თასი**
**ნახევარფინალის წილისყრა**

სანდერლენდი — ტრანმერი ან მილუოლი;
არსენალი — მანჩესტერ იუნ.
*მატჩები გაიმართება 3-4 აპრილს*

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. XXVII ტური**

**ბასტია 4:1 მარსელი**

1:0 ფ. მორისი (22), 2:0 ა. დიარა (28), 3:0 ბენ საჰდა (49), 4:0 ოგბეჩე (55), 4:1 დროგბა (80პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 27 | 17 | 7 | 3 | 47:19 | 58 |
| ლიონი | 27 | 16 | 6 | 5 | 48:20 | 54 |
| პსჟ | 27 | 14 | 9 | 4 | 38:20 | 51 |
| სოშო | 27 | 14 | 7 | 6 | 40:29 | 49 |
| ოსერი | 27 | 14 | 4 | 9 | 43:22 | 46 |
| მარსელი | 27 | 13 | 4 | 10 | 34:30 | 43 |
| ნანტი | 27 | 12 | 6 | 9 | 32:23 | 42 |
| ნიცა | 27 | 9 | 13 | 5 | 29:24 | 40 |
| ბორდო | 27 | 11 | 7 | 9 | 27:27 | 40 |
| ლანსი | 27 | 12 | 4 | 11 | 25:38 | 40 |
| ლილი | 27 | 10 | 7 | 10 | 29:28 | 37 |
| რენი | 27 | 8 | 9 | 10 | 33:31 | 33 |
| სტრასბური | 27 | 8 | 8 | 11 | 39:39 | 32 |
| ბასტია | 26 | 7 | 8 | 11 | 29:36 | 29 |
| აიაჩო | 27 | 7 | 6 | 14 | 23:41 | 27 |
| ტულუზი | 26 | 6 | 7 | 13 | 20:33 | 25 |
| მეცი | 26 | 6 | 6 | 14 | 17:29 | 24 |
| გენგამი | 26 | 7 | 3 | 16 | 22:41 | 24 |
| მონპელიე | 27 | 6 | 4 | 17 | 29:52 | 22 |
| ლე მანი | 27 | 4 | 9 | 14 | 20:42 | 21 |

## არგენტინა

**კლაუსურა. IV ტური**

ველესი — ჩაკარიტა 2:2; სან ლორენსო — ტალიერესი 0:0; როსარიო — რასინგი 3:1; ოლიმპო — ნუევა ჩიკაგო 2:2; არსენალი — ესტუდიანტესი 0:0; კოლონი — ატლეტიკო 2:1; ხიმნასია — ლანუსი 0:0; კილმესი — ოლდ ბოიზი 3:3; რივერ პლეიტი — ინდეპენდიენტე 4:1; ბანფილდი — ბოკა ხუნიორსი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტალიერესი | 4 | 3 | 1 | 0 | 12:4 | 10 |
| რივერ პლეიტი | 4 | 3 | 1 | 0 | 12:5 | 10 |
| ველესი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:6 | 8 |
| ბოკა ხუნიორსი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:5 | 8 |
| რასინგი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| სან ლორენსო | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| კოლონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:8 | 7 |
| ნუევა ჩიკაგო | 4 | 1 | 3 | 0 | 7:6 | 6 |
| ხიმნასია | 4 | 1 | 2 | 1 | 6:2 | 5 |
| არსენალი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |
| ინდეპენდიენტე | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| ბანფილდი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| როსარიო | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ლანუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ოლიმპო | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |
| ესტუდიანტესი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:7 | 4 |
| ოლდ ბოიზი | 4 | 0 | 3 | 1 | 7:8 | 3 |
| კილმესი | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | 3 |
| ჩაკარიტა | 4 | 0 | 0 | 2 | 4:11 | 2 |
| ატლეტიკო | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |


**სიახლე საქართველოში!**

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით





ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში

**სარო-არტპრინტი**
ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

## იუვენტუსი — დეპორტივო

ტურინი. „დელე ალპი“. მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი). პირველი მატჩი 0:1

# ტაკინარდიმ ადგილი გაინაღდა

## როგორ ხასიათზე იქნება დელე ალპი?

**„იუვენტუსს“** მხოლოდ თოთხმეტი სრულფასოვანი ფეხბურთელი ჰყავს ამ შეხვედრისთვის. დაშავებულთა შორის არიან თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგე, შუა ნახევარმცველი ენცო მარესკა, მარცხენა ნახევარმცველი ჯანლუკა ძამბროტა და მცველი მარკ იულიანო, რომელმაც შაბათს, ბრეშაში, სერია A-ს ჩემპიონატის ბოლო ტურში იტკინა ფეხი. შეგახსენებთ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ამ მნიშვნელოვან შეხვედრას „იუვენტუსი“ აგებდა, პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში 0:2 გახლდათ, მეორე ნახევარში კი ფაბრიციო მიკოლიმ, მარკო დი ვაიომ და პაველ ნედვედმა სამი გოლი გაიტანეს და რობერტო ბაჯოს გუნდს გამარჯვება გამოსტაცეს.

ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელები, როგორც მოგახსენეთ, ტრავმირებულები გახლავან, ვეტერანი ანტონიო კონტე კი დისკვალიფიცირებულია. კონტეს ადგილს (თუმცა რაღა კონტეს, თავის საკუთარ ადგილს) ალესიო ტაკინარდი დაიკავებს, დაცვაში კი ვეტერანთა ვეტერანი ჩირო ფერარა დადგება... იმ იმედით, რომ ლაკორუნიელები მაინცდამაინც სწრაფად ვერ ჩაურბენენ.

ლაკორუნელებს კი ამ დროს მშობლიურ პრიმერადივიზიონში „ვალენსიასთან“ 0:3 აქვს წაგებული (ეს შაბათის ამბავი გახლავთ) და ჩემპიონატის დამთავრებამდე 11 ტურით ადრე ლიდერს, მადრიდის „რეალს“ 10 ქულით ჩამორჩებიან. ერთი სიტყვით, იქ ნაწვნევი სიმწრის აქ, ჩემპიონთა ლიგაში გამოსწორებას შეეცდებიან.

მწვრთნელს, ხავიერ ირურეტას ტურინში დაცვა ეყოლება ოდნავ შესაცვლელი. საქმე ის არის, რომ მარცხენა მცველი ენრიკე რომერო გრიპით დაავადდა და „დაუგეგმავად“ გამოაკლდა თანაგუნდელებს. მის პოზიციას ხუან კაპდევილია დაიკავებს.

სხვა მხრივ კი ესპანელები იმავე შემადგენლობით ითამაშებენ, რომლითაც პირველ შეხვედრაში 1:0 მოიგეს. ურუგვაელი ვალტერ პანდიანი სათადარიგოთა სკამზე იჯდება, წინ კი დიეგო ტრისტანი იტრიალებს.

და რა ხასიათის თამაშს უნდა ველოდოთ „დელე ალპიზე“? ვინაიდან „ბებერმა ქალბატონმა“ პირველი მატჩი წააგო, სავარაუდოდ, იგი შეუტევს. ცხადია, ამასთან ერთად, მარჩელო ლიპი იმასაც გაითვალისწინებს, რომ მისი მცველები ბოლო ხანს ერთიმეორეზე უარეს შეცდომებს უშვებენ და სერია A-ს 24 ტურში არც მეტი, არც ნაკლები, 27 გოლი აქვთ გაშვებული. ერთი სიტყვით, ტურინელები შეუტევენ და, ვფიქრობთ, თავის დაცვას მთელი გუნდით შეეცდებიან, რასაც ტექნიკური ესპანელები ხისტ დაცვას და სწრაფ კონტრშეტევებს თუ დაუპირისპირებენ.

**პაპუნა ბედია**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იუვენტუსი**

ბუფონი, ტურამი, ფერარა, ლეგროტალიე, მონტერო, კამორანეზი, ტაკინარდი, აპია, ნედვედი, დელ პიერო, დი ვაიო

**დეპორტივო**

მოლინა, კაპდევილა, ჟორჟე ანდრადე, ნაიბეტი, სკალონი, ვიქტორი, მაურო სილვა, სერხიო, ვალერონი, ტრისტანი, ლუკე

**დისკვალიფიცირებულნი**

იუვენტუსი: ანტონიო კონტე (1 მატჩი)

დეპორტივო: არავინ




მარჩელო ლიპი

## ლიონი — სოსიედადი

ლიონი. „სტად ჟერლანი“. მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი). პირველი მატჩი 1:0

# კოვაჩევიჩს კუპეს ვალი აქვს

## პოლ ლე გუენმა სტუმრებს შანსი დაუწუნა

**„სოსიედადი“** სამი ათასი ერთგული ბასკის თანხლებით ლიონს ესტუმრება, რათა საკუთარ „ანოეტაზე“ 0:1 წაგება ჩაუქი ბურთაობით საფრანგეთში აინაზღაუროს.

„რთული თამაში გველის. მეტოქე, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული გრანდების რიცხვს არ მიეკუთვნება, ფრიად ანგარიშგასაწევია. „სოსიედადის“ ტაქტიკა ამ შეხვედრაში მუდმივი იერიში იქნება. ვეცდებით, სწრაფი გოლის მეშვეობით „ლიონს“ მობილიზაციის საშუალება არ მივცეთ“ — განაცხადა ბასკთა მწვრთნელმა დენიომ. „სოსიედადი“ გასული სეზონის ფერმკთალ აჩრდილს წარმოადგენს. იქაური პრიმერას ჯერჯერობით ბოლო, ტურის შეხვედრაში ზღვისპირელებმა პამპლონელ თანამოძმეებს რის ვაი-ვაგლახით გამოგლიჯეს ხელიდან ქულა, რამაც „ანოეტას“ შეფერთხილ გვარდიას მცირე ამოსუნთქვის საშუალება მისცა. აშკარაა, „სოსიედადი“ საამსეზონოდ ორ ფრონტზე ველარ იბრძვის და ერთ-ერთის დათმობა მოუწევს. „ლიონთან“ ბასკებს არ ეყოლებათ ტრავმირებული მეკარე, ჰოლანდიელი ვესტერფელდი და არანსაბალი. ნიდერლანდელ მეკარეს შეცვლის სათადარიგო ალბერტო. „სამწუხაროა, რომ ვესტერველდი და აგუსტინი არ გვეყოლება, თუმც ჩვენს გუნდში მოიძებნება ისეთი ფეხბურთელები, მათი შეცვლა რომ შეუძლიათ“.

„სოსიედადის“ ოთხი შემტევი საბრძოლო ფორმაშია: კოვაჩევიჩი, ნიჰატი, კარპინი და ხავიერ დე პედრო გალთა წინაალმდეგ შესაშური ოპტიმიზმით არიან აღჭურვილნი. განსაკუთრებით სერბი დარკო აქტიურობს. მერვედფინალის წინა რაუნდში გრეგორი კუპეს იგი ჰეთ თრიქს შეჰპირდა და დანაქადნი ვერ აუსრულა. ამჯერად კოვაჩევიჩი აქცენტს პირველ ელვისებურ გოლზე და შემდგომ დამატებით დროში გამარჯვებაზე აკეთებს: „მთავარია, ახლა პირველი ბურთი ჩვენ შევაგდოთ და „ლიონს“ გათანაბრების შანსი აღარ მივცეთ. მერე კი, ვფიქრობთ, უპირატესობას ჩვენ მოვიპოვებთ“.

„ლიონი“ შეჭირვებულ ბასკებს ჩემპიონატში მეორე ადგილით და გასულ ტურში „აიაჩოს“ განადგურებით ხვდება. „არ მინდა, ისე გამოვიდეს, თითქოს მოწინააღმდეგის ძალები წინასწარ ჩამოვწერეთ, თუმც, ვფიქრობ, „სოსიედადს“ შემდგომ ეტაპზე გასასვლელად მცირე შანსი აქვს“ — ივარაუდა დამხვდურთა მწვრთნელმა პოლ ლე გუენმა.

ტრავმათა გამო, გალებს კლაუდიო კასაპა, ანტონი რეველიერი და ჟერემი ბერტოდი ვერ დაეხმარებიან, მაგრამ ლუინდულას, გოვუს, ჯოვანი ელბერსა და ჟუნინიოს ალბათ ძალუმთ სანსებასტიანელთა ძლევა. თან ლიონელები საშინაო თამაშებს ძალიან იშვიათად აგებენ, ასე რომ, ამ წყვილიდან მეოთხედფინალში გაძვრომა დენიოს ჯარისკაცებს წესით და რიგით უნდა გაუჭირდეთ...

**ლადო ხომერიკი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლიონი**

კუპე, დეფლანდრე, ედმილსონი, მიულერი, მალუდა, მ. დიარა, ჟუნინიო პერნამბუკანო, დორასო, ლუინდულა, ელბერი, გოვუ

**სოსიედადი**

ალბერტო, ბორისი, კვარმე, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, კარპინი, დე პედრო, ალკისა, კოვაჩევიჩი, ნიჰათი

**დისკვალიფიცირებულნი**

ლიონი: არავინ

სოსიედადი: არავინ



ოსკარ დე პაულა ედმილსონს დღეს ვერ შეაწუხებს

## ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მანჩესტერი — პორტუ

მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი“. მსაჯი:ვალენტინ ივანოვი (რუსეთი). პირველი მატჩი 1:2

# სად დადგება პორტუს ავტობუსი?



ჟოზე მაურინიუ

**გეხსომებათ,** რა მოხდა დღევანდელი მეტოქეების ორი კვირის წინანდელ შეხვედრაში, რომელიც პორტუში გაიმართა და მასპინძლებმა 2:1 მოიგეს — როი კინმა შეტევისას მასპინძელ მეკარეს, ვიტორ ბაიას დააბიჯა და მოედნიდან გააძევეს. ერთი სიტყვით, დღეს, მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“ მასპინძლებს კაპიტანი და ვაჟკაცობის თუ შეუპოვრობის მაგალითი, როი კინი არ ეყოლებათ. სამაგიეროდ, დაცვაში თავის პოზიციას უბრუნდება გარი ნევილი.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ინგლისის ჩემპიონატში ნევილი დისკვალიფიცირებულია და ამ დისკვალიფიკაციის მხოლოდ ნახევარი აქვს მოხდილი, მაგრამ საერთაშორისო თამაშებში მონაწილეობას მას არავინ უკრძალავს.

ფრანგი თავდამსხმელი ლუი საჰა გასულ შაბათს ასოციაციის თასზე „ფულემის“ წინააღმდეგ შეხვედრაში არ მონაწილეობდა, მაგრამ „პორტუს“ შეუტევს. სამაგიეროდ, ვერ ითამაშებს სამხრეთაფრიკელი კვინტონ ფორჩუნი, რომელმაც მუხლის ოპერაცია გაიკეთა.

„პორტუში“ დაშავებულები იყვნენ დარიელ სილვა, მარკო ფერეირა და სეზარ პეიშოტო, რომელთაც ახლა ნახევარმცველი პედრო მენდესი შეუერთდა. მენდესმა პარასკევს იტკინა ბარძაყი. ეს ის დღე გახლდათ, როდესაც „პორტუ“ „ბელენენსეშს“ შეხვდა და 4:1 მოუგო. დაშავებულის მაგივრად რუსი დმიტრი ალენიჩევი ითამაშებს.

დისკვალიფიკაცია გაუვიდა ნახევარმცველ ფრანსისკო კოშტინიას, თუმცა არის უსიამოვნო ცნობებიც: სერჟიუ კონსეისაუ და ბრაზილიელი მასიელ კუნია ვერ ითამაშებენ.

პორტუგალიის ჩემპიონატში „პორტუ“ პირველ ადგილზეა და დაუმარცხებლად მიდის. მისი მწვრთნელი, ჟოზე მაურინიო ამბობს, რომ დაცვით ფეხბურთს ცოცხალი თავით არც „ოლდ ტრეფორდზე“ ითამაშებს:

„სულაც არ ვაპირებ ჩვენი ავტობუსით კარის წინ დავაყენო“ — თქვა მაურინიომ.

**პაპუნა ძიძია**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მანჩესტერი**

ჰოვარდი, ფ. ნევილი, გ. ნევილი, ბრაუნი, ოში, კ. რონალდო, ბათი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი, საჰა

**პორტუ**

ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, კოშტინია, მანიშე, ალენიჩევი, დეკო სოუზა, მაკკარტი, კარლოს ალბერტო

**დისკვალიფიცირებულნი**

მანჩესტერი: როი კინი (1 მატჩი)
პორტუ: არავინ



ვიტორ ბაია

### ჩელსი — შტუტგარტი

ლონდონი. „სტამფორდ ბრიჯი“ . მსაჯი:კიმ-მილტონ ნილსენი (დანია). პირველი მატჩი 1:0

# არისტოკრატებო, არდადეგები დასრულდა!

## მიძინებულ ჩელსის შტუტგარტი გააღვიძებს

**„ჩელსიმ“** ბოლო პრემიერლიგური მატჩის შემდეგ ათი დღე დაისვენა. ინგლისში ასოციაციის თასის მეოთხედფინალები გაიმართა და გასულ უბმეებზე ტური არ შედგა.

ათდღიანი პაუზა ლონდონელებს მეტოქეზე გარკვეულ უპირატესობას ალბათ მისცემს, მაგრამ „შტუტგარტის“ დამარცხება მხოლოდ ამის ხარჯზე რთული იქნება.

„არისტოკრატები“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საშინაო შეხვედრებში არ ბრწყინავდნენ. „ლაციოსთან“ აგებდნენ და თამაში შემოაბრუნეს. შემდეგ კაცნაკლულ „ბეშიქთაშთან“ ისე დამარცხდნენ, რომ სტამბოლელებს გოლი ვერ გაუტანეს, ბოლოს კი პრაღის „სპარტას“ უგოლოდ დაუზავდნენ.

„ჩელსი“ გერმანულ კლუბებს ექვსჯერ შეხვედრია. ინგლისელებმა ოთხჯერ იმარჯვეს, ერთი წააგეს და ერთხელაც ფრედ ითამაშეს. „სტემფორდ ბრიჯს“ გერმანელები ორჯერ ეწვივნენ და ორჯერვე მშრალად წააგეს.

„შტუტგარტმა“ გასულ უქმეებზე სახე დაიბრუნა. გერმანელებს ნოემბრის აქეთ სტუმრად არ მოეგოთ და ნავსი დორტმუნდში გატეხეს. ფელიქს მაგათი, ცხადია, გახარებულია, მაგრამ მწვრთნელს ერთი პრობლემა მაინც აქვს — კევინ კურანიის იანვრის შემდეგ გოლი რა გაუტანია.

ამ სეზონში „შტუტგარტი“ ბრიტანეთს მესამედ ესტუმრება. გლაზგოში „რეინჯერსთან“ დამარცხდა, შემდეგ მანჩესტერში წააგო. ახლა კი ბედს ლონდონში სცდის.

„შტუტგარტმა“ ინგლისურ კლუბებს აქამდე სამჯერ „ჩააკითხა“ და ამდენჯერვე ისე დამარცხდა, რომ იქაურებს ერთი გატანილი გოლითაც ვერ დაამახსოვრა თავი. მთლიანობაში ინგლისელებთან უარყოფითი ბალანსი აქვს — 9 შეხვედრაში ორი მოგება, ერთი ფრე და ექვსი წაგება.

მიუხედავად ამისა, ფელიქს მაგათი ჯერ კიდევ შტუტგარტული მატჩის შემდეგ იფშვნეტდა ხელებს, „ჩელსი“ შინ სუსტად თამაშობს და ეს ამბავი საჩვენოდ უნდა გამოვიყენოთო.

„არისტოკრატთა“ ბანაკში სიმშვიდეა. ტრავმამოშუშებული კარლო კუდიჩინი და დემიენ დაფი ათ დღეში კიდევ უფრო მომჯობინდნენ და სავარაუდოდ, დღეს ძირითად შემადგენლობაში იქნებიან. კუდიჩინი და ადრიან მუტუ ყვითელ ბარათს უნდა უფრთხილდნენ, რათა ნახევარფინალის პირველ მატჩი არ გამოტოვონ, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ „ჩელსი“ „შტუტგარტს“ გაივლის.

ფელიქს მაგათს ზვონიმირ სოლდოს ტრავმა ადარდებდა. ნახევარმცველი დორტმუნდის „ბორუსიასთან“ შეხვედრაში დაშავდა და შეცვალეს, თუმც ტრავმა უმნიშვნელოა აღმოჩნდა და მწვრთნელიც დამშვიდდა.

ბოლო ჟამს მაგათი უნგრელი იმრე საბიჩით უკმაყოფილოა და ამიტომ მის ნაცვლად კურანის ალბათ ბრაზილიელ კაკაუს შეუწყვილებს.

**ვაჟა ხუციშვილი**




ფელიქს მაგათი

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჩელსი**

კუდიჩინი, ჯონსონი, გალასი, ტერი, ბრიჯი, ჯერემი, მაკელელე, ლამპარდი, დაფი, კრესპო, მუტუ

**შტუტგარტი**

ჰილდებრანდი, ჰინკელი, ჟივკოვიჩი, ბორდონი, ლამი, სოლდო, მეირა, მაისნერი, გლები, კურანი, კაკაუ

**დისკვალიფიცირებულნი**

ჩელსი: არავინ
შტუტგარტი: არავინ

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXVII ტური** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 24.00 | 001 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 24.00 | 059 | სანდერლენდი-პრესტონი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 060 | ვესტ ჰემი-უიმბლდონი | 1,1 | 5,0 | 10,0 | 1 | 1 | 3,33 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 062 | ბრედფორდი-უოტფორდი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXXV ტური** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 078 | ბრაიტონი-ტრანმერი | 1,6 | 3,4 | 5,3 | 1,08 | 1,22 | 2,07 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 095 | დარლინგტონი-ჩელტენემი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 23.45 | 096 | კარლაილი-ჰადერსფილდი | 3,0 | 3,2 | 1,9 | 1,54 | 1,16 | 1,19 |
| 23.45 | 097 | სუონსი-როჩდეილი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 23.45 | 098 | იორკი-სკანთორპი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 115 | ბარნეტი-სტივენეიჯი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 23.45 | 116 | ბარტონი-ტელფორდი | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,24 | 1,41 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 118 | დაგ ენდ რედი-ტემუორთი | 1,65 | 3,5 | 4,4 | 1,12 | 1,2 | 1,94 |
| 23.45 | 119 | ჰალიფაქსი-ფორესტ გრინი | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XXVII ტური** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 135 | აბერდინი-პარტიკი | 1,45 | 3,6 | 5,6 | 1,03 | 1,15 | 2,19 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. XXIII ტური** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 142 | ფოლკირკი-სტ.ჯონსტონი | 2,15 | 3,4 | 2,8 | 1,31 | 1,21 | 1,53 |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 143 | ქუინი-კლაიდი | 2,6 | 3,4 | 2,25 | 1,47 | 1,2 | 1,35 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შოტლანდია** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 145 | ბრეჩინი-რეითი | 2,25 | 3,4 | 2,6 | 1,35 | 1,2 | 1,47 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. XVII ტური** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 154 | ჰამილტონი-დამბარტონი | 1,95 | 3,5 | 3,1 | 1,25 | 1,19 | 1,64 |
| | | **შოტლანდია** | | | | | | |
| | | **II დივიზიონი. XIX ტური** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 155 | მორტონი-ერდრი | 2,1 | 3,5 | 2,8 | 1,31 | 1,19 | 1,55 |
| | | **შოტლანდია** | | | | | | |
| | | **II დივიზიონი. XXV ტური** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 156 | სტენჰაუზმური-არბროთი | 2,4 | 3,4 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,4 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. XXV ტური** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 163 | ალბიონი-ისტ სტირლინგი | 1,1 | 5,0 | 10,0 | 1 | 1 | 3,33 |
| 23.30 | 164 | კოუდენბითი-სტრანრარი | 3,1 | 3,6 | 1,9 | 1,66 | 1,17 | 1,24 |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 165 | სტირლინგი-ელგინი | 1,15 | 5,6 | 9,0 | 1 | 1,01 | 3,45 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXII ტური** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 21.15 | 173 | ობერჰაუზენი-მაინცი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა. XXII ტური** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 361 | რაპიდი-კერნტენი | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 384 | ბადენი-შო დე ფონი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 22.30 | 385 | ბულე-შაფჰაუზენი | 3,0 | 3,0 | 2,25 | 1,5 | 1,28 | 1,28 |
| 22.30 | 386 | დელემონი-სიონი | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| | | **სლოვაკეთი. I ლიგა. XVII ტური** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 473 | ტრენჩინი-პეტრჟალკა | 2,2 | 3,1 | 2,9 | 1,28 | 1,25 | 1,49 |
| | | **ჩილე. აპერტურა. VI ტური** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 04.30 | 556 | უნ.ჩილე-ევერტონი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02.00 | 557 | სერენა-პალესტინო | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 02.00 | 550 | უნ.კატოლიკა-უაჩიპატო | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 04.00 | 551 | უონდერერსი-კოკიმბო | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 04.30 | 552 | ტემუკო-კოლო კოლო | 3,3 | 3,3 | 1,95 | 1,65 | 1,22 | 1,22 |
| 03.00 | 553 | კონსეპსიონი-რეინჯერსი | 1,1 | 5,0 | 10,0 | 1 | 1 | 3,33 |
| 04.00 | 554 | აუდაქსი-პუერტო მონტი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 23.30 | 555 | კობრესალი-სან ფელიპე | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| 04.30 | 558 | კობრელოა-უნ.ესპანიოლა | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. II მატჩები.** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 002 | ჩელსი-შტუტგარტი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 23.45 | 003 | იუვენტუსი-დეპორტივო | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 23.45 | 004 | ლიონი-სოსიედადი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 23.45 | 005 | მანჩესტერი-პორტუ | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 006 | არსენალი-სელტა | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| 23.45 | 007 | მილანი-სპარტა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.45 | 008 | მონაკო-ლოკომოტივი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.45 | 009 | რეალი-ბაიერნი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| | | **უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 010 | გენჩლერბირლიგი-ვალენსია | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 22.00 | 011 | ბორდო-ბრიუგე | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 23.30 | 012 | ოსერი-პსჟ | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 23.45 | 013 | ნიუკასლი-მალიორკა | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 24.00 | 014 | ბენფიკა-ინტერი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 24.00 | 015 | სელტიკი-ბარსელონა | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1.38 | 1,26 | 1.43 |
| 24.00 | 016 | ლივერპული-მარსელი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 00.30 | 017 | ვილიარეალი-რომა | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1.38 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 02.00 | 599 | ტახირა-ლიბერტადი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 04.15 | 600 | ველესი-ონსე კალდასი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 06.30 | 601 | სპორტინგ კრისტალი-ოლიმპია | 1,8 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,19 | 1,69 |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 00.15 | 602 | კობრელოა-ალიანსა | 1,7 | 3,3 | 4.4 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 02.30 | 603 | კურიტიბა-როსარიო | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 03.45 | 604 | სან პაულუ-უნივერსიტარია | 1,5 | 3,6 | 5.6 | 1.05 | 1.18 | 2.19 |
| 04.45 | 605 | დეპორტივო-ბოკა ხუნიორსი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1.6 |
| 07.00 | 606 | სანტოსი(მექ)-კრუზეირო | 2,25 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,26 | 1.49 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 04.15 | 607 | ტოლიმა-რივერ პლეიტი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1.38 | 1,22 | 1,38 |
| 02.00 | 608 | სანტოსი(ბრ)-ბარსელონა | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2.6 |
| 02.00 | 609 | სან კაეტანო-ამერიკა | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1.21 | 1.8 |
| 06.30 | 610 | სენსიანო-ნასიონალი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1.22 | 1.69 |

# ჩემპიონები და თასის აღება

**9001**
**ინგლისი (13.03)**

| | |
|---|---|
| არსენალი | 1,04 |
| მანჩესტერი | 6,0 |
| ჩელსი | 10,0 |

**9002**
**გერმანია (06.03)**

| | |
|---|---|
| ვერდერი | 1,45 |
| ბაიერნი | 2,2 |
| შტუტგარტი | 15,0 |

**9003**
**იტალია (13.03)**

| | |
|---|---|
| მილანი | 1,35 |
| რომა | 4.0 |
| იუვენტუსი | 5,0 |

**9004**
**ესპანეთი (13.03)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,01 |
| ვალენსია | 7,0 |
| დეპორტივო | 20,0 |

**9005**
საფრანგეთი (13.03)

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,25 |
| ლიონი | 3,2 |
| პსჟ | 7,0 |

**9006**
**პორტუგალია (13.03)**

| | |
|---|---|
| პორტუ | 1.01 |
| სპორტინგი | 10,0 |

**9007**
**ჰოლანდია (12.03)**

| | |
|---|---|
| აიაქსი | 1,03 |
| პსვ | 5,0 |

**9008**
**ავსტრია (13.03)**

| | |
|---|---|
| აუსტრია | 1,7 |
| რაპიდი | 3,0 |
| გრაცერი | 3,0 |

**9009**
**დანია (14.03)**

| | |
|---|---|
| ბრიონდბიუ | 1,3 |
| ესბიერგი | 4.0 |
| კოპენჰაგენი | 5,0 |

**9010**
**საბერძნეთი (13.02)**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1,6 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |

**9011**
**უკრაინა (13.03)**

| | |
|---|---|
| შახტარი | 1,55 |
| დინამო | 1,95 |

**9020 ჩემპიონთა თასი (09.03)**
**რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს**

| | |
|---|---|
| ინგლისი | 1,6 |
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 2,7 |
| საფრანგეთი | 11,0 |
| გერმანია | 12,0 |

**9020 ჩემპიონთა თასი (09.03)**

| | |
|---|---|
| რეალი | 4,0 |
| არსენალი | 4.4 |
| მანჩესტერი | 4,8 |
| მილანი | 4,8 |
| ჩელსი | 5,3 |
| იუვენტუსი | 5,6 |
| დეპორტივო | 12,0 |
| ბაიერნი | 16,0 |
| ლიონი | 20,0 |
| მონაკო | 25,0 |
| პორტუ | 25,0 |
| შტუტგარტი | 50,0 |
| სოსიედადი | 50,0 |
| სელტა | 75,0 |
| ლოკომოტივი | 75,0 |
| სპარტა | 125,0 |

**9022**
**უეფას თასი (11.02)**

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 5,0 |
| ინტერი | 5,0 |
| ლივერპული | 5,0 |
| რომა | 5.0 |
| ვალენსია | 5,0 |
| ნიუკასლი | 7,0 |
| სელტიკი | 10,0 |
| მარსელი | 15,0 |
| ბორდო | 15,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| პსვ | 15.0 |
| ვილიარეალი | 15,0 |
| ოსერი | 15,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| ბრიუგე | 25.0 |
| გენჩლერბირლ. | 40,0 |

**9031**
**NHL (05.04)**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 4,0 |
| დეტროიტი | 5,0 |
| ფილადელფია | 5,5 |
| ვანკუვერი | 6,0 |
| ნიუ ჯერსი | 6,5 |
| ოტავა | 7,0 |
| ტორონტო | 6,0 |
| დალასი | 12,0 |
| სტ.ლუისი | 25,0 |
| სან ხოსე | 15.0 |
| ტამპა ბეი | 10.0 |
| ბოსტონი | 18.0 |
| ლოს ანჯელესი | 25,0 |
| კალგარი | 30.0 |
| აილენდერსი | 40.0 |
| მონრეალი | 40.0 |
| ნეშვილი | 40.0 |

**9032**
**NBA (15.04)**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 2.0 |
| საკრამენტო | 3.5 |
| სან ანტონიო | 5.0 |
| მინესოტა | 6.0 |
| დალასი | 8.0 |
| ინდიანა | 10.0 |
| ნიუ ჯერსი | 12.0 |
| დეტროიტი | 15.0 |
| ნიუ ორლეანი | 30.0 |
| ჰიუსტონი | 50.0 |
| ნიუ იორკი | 60.0 |
| ფილადელფია | 75.0 |
| ბოსტონი | 75.0 |
| დენვერი | 75.0 |
| ტორონტო | 75.0 |
| მილუოკი | 75.0 |
| მემფისი | 75.0 |
| პორტლენდი | 100.0 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შემდეგ ეტაპზე გასვლა** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 7001 | ჩელსი-შტუტგარტი | 1,05 | 6,5 | | | | |
| 23.45 | 7002 | იუვენტუსი-დეპორტივო | 1,85 | 1,65 | | | | |
| 23.45 | 7003 | ლიონი-სოსიედადი | 1,07 | 5,3 | | | | |
| 23.45 | 7004 | მანჩესტერი-პორტუ | 1,55 | 2,0 | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 7005 | არსენალი-სელტა | 1,01 | 12,0 | | | | |
| 23.45 | 7006 | მილანი-სპარტა | 1,1 | 4,0 | | | | |
| 23.45 | 7007 | მონაკო-ლოკომოტივი | 1,55 | 2,0 | | | | |
| 23.45 | 7008 | რეალი-ბაიერნი | 1,25 | 3,1 | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 7009 | გენჩლერბირლიგი-ვალენსია | 4,0 | 1,15 | | | | |
| 22.00 | 7010 | ბორდო-ბრიუგე | 1,65 | 1,95 | | | | |
| 23.30 | 7011 | ოსერი-პსვ | 1,8 | 1,8 | | | | |
| 23.45 | 7012 | ნიუკასლი-მალიორკა | 1,45 | 2,1 | | | | |
| 24.00 | 7013 | ბენფიკა-ინტერი | 2,5 | 1,35 | | | | |
| 24.00 | 7014 | სელტიკი-ბარსელონა | 2,2 | 1,4 | | | | |
| 24.00 | 7015 | ლივერპული-მარსელი | 1,4 | 2,3 | | | | |
| 00.30 | 7016 | ვილიარეალი-რომა | 3,0 | 1,25 | | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 18.30 | 1002 | ლადა-სიბირი | 1,3 | 5,3 | 5,6 | 1,04 | 1,05 | 2,72 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 1031 | ზლინი-ტრჟინეცი | 1,55 | 4,6 | 3,8 | 1,15 | 1,1 | 2,08 |
| 20.30 | 1032 | პარდუბიცე-პლზენი | 1,3 | 5,0 | 5,6 | 1,03 | 1,05 | 2,64 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 1101 | ჰვ 71-მოდო | 1,4 | 4,8 | 4,8 | 1,08 | 1,08 | 2,4 |
| 22.00 | 1102 | ფერიესტადი-ლულეო | 1,3 | 5,3 | 5,6 | 1,04 | 1,05 | 2,72 |
| 22.00 | 1103 | ლინჩიოპინგი-ტიმრე | 1,85 | 4,2 | 2,8 | 1,28 | 1,11 | 1,68 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 1121 | იუვესკიულე-იოკერიტი | 2,4 | 4,4 | 2,05 | 1,55 | 1,1 | 1,39 |
| 20.30 | 1122 | ესპოო-ტაპარა | 1,9 | 4,4 | 2,6 | 1,32 | 1,09 | 1,63 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 04.30 | 1141 | ნიუ ჯერსი-ფილადელფია | 2,2 | 3,6 | 2,45 | 1,36 | 1,15 | 1,45 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 1142 | პიტსბურგი-დალასი | 4,4 | 3,8 | 1,5 | 2,03 | 1,11 | 1,07 |
| 04.30 | 1143 | ტორონტო-ფლორიდა | 1,7 | 3,8 | 3,5 | 1,17 | 1,14 | 1,82 |
| 04.30 | 1144 | ატლანტა-რეინჯერსი | 2,1 | 3,6 | 2,5 | 1,32 | 1,14 | 1,47 |
| 05.00 | 1145 | სტ.ლუისი-აილენდერსი | 2,0 | 3,6 | 2,8 | 1,23 | 1,16 | 1,57 |
| 05.00 | 1146 | ნეშვილი-ბოსტონი | 2,3 | 3,5 | 2,4 | 1,38 | 1,17 | 1,42 |
| 06.00 | 1147 | კალგარი-ედმონტონი | 2,0 | 3,6 | 2,8 | 1,28 | 1,16 | 1,57 |
| 07.30 | 1148 | ლოს ანჯელესი-ფინიქსი | 1,7 | 3,8 | 3,2 | 1,17 | 1,11 | 1,73 |
| 07.30 | 1149 | სან ხოსე-მინესოტა | 1,7 | 3,8 | 3,2 | 1,17 | 1,11 | 1,73 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 04.00 | 1270 | ინდიანა-ტორონტო | 1,12 | 10,0 | 4,0 | 1 | 1 | 2,85 |
| 04.00 | 1271 | ვაშინგტონი-დენვერი | 1,9 | 10,0 | 1,6 | 1,59 | 1 | 1,37 |
| 04.30 | 1272 | მაიამი-ორლანდო | 1,2 | 10,0 | 3,0 | 1,07 | 1 | 2,3 |
| 04.30 | 1273 | ნიუ იორკი-ბოსტონი | 1,4 | 10,0 | 2,4 | 1,22 | 1 | 1,93 |
| 05.00 | 1274 | მემფისი-სან ანტონიო | 1,8 | 10,0 | 1,8 | 1,52 | 1 | 1,52 |
| 05.30 | 1275 | ჩიკაგო-ფილადელფია | 1,85 | 10,0 | 1,75 | 1,56 | 1 | 1,48 |
| 05.30 | 1276 | ჰიუსტონი-კლიპერსი | 1,15 | 10,0 | 4,0 | 1,03 | 1 | 2,85 |
| 07.00 | 1277 | საკრამენტო-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 10,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,33 |
| 07.00 | 1278 | სიეტლი-მინესოტა | 2,0 | 10,0 | 1,6 | 1,66 | 1 | 1,37 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5001 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5002 | ჩელსი-შტუტგარტი | 1,95 | 2,2 | 6,0 | 1,03 | 1,47 | 1,6 |
| 5003 | იუვენტუსი-დეპორტივო | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 5004 | ლიონი-სოსიედადი | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 5005 | მანჩესტერი-პორტუ | 1,9 | 2,25 | 6,0 | 1,03 | 1,44 | 1,63 |
| 5006 | არსენალი-სელტა | 1,65 | 2,6 | 7,0 | 1 | 1,33 | 1,89 |
| 5007 | მილანი-სპარტა | 1,45 | 3,2 | 8,0 | 1 | 1,22 | 2,28 |
| 5008 | მონაკო-ლოკომოტივი | 1,85 | 2,25 | 6,5 | 1,01 | 1,44 | 1,67 |
| 5009 | რეალი-ბაიერნი | 2,0 | 2,2 | 5,6 | 1,04 | 1,47 | 1,57 |
| 5010 | გენჩლერბირლიგი-ვალენსია | 4,0 | 2,05 | 2,5 | 1,35 | 1,53 | 1,12 |
| 5011 | ბორდო-ბრიუგე | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5012 | ოსერი-პსვ | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5013 | ნიუკასლი-მალიორკა | 1,95 | 2,25 | 5,6 | 1,04 | 1,44 | 1,6 |
| 5014 | ბენფიკა-ინტერი | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1,24 | 1,57 | 1,23 |
| 5015 | სელტიკი-ბარსელონა | 3,1 | 2,05 | 3,2 | 1,23 | 1,57 | 1,24 |
| 5016 | ლივერპული-მარსელი | 1,9 | 2,25 | 6,0 | 1,03 | 1,44 | 1,63 |
| 5017 | ვილიარეალი-რომა | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1,24 | 1,57 | 1,23 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5301 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 5302 | ჩელსი-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 5303 | იუვენტუსი-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 5304 | ლიონი-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |
| 5305 | მანჩესტერი-პორტუ | 1,65 | 1,95 |
| 5306 | არსენალი-სელტა | 1,8 | 1,8 |
| 5307 | მილანი-სპარტა | 1,9 | 1,7 |
| 5308 | მონაკო-ლოკომოტივი | 1,7 | 1,9 |
| 5309 | რეალი-ბაიერნი | 1,65 | 1,95 |
| 5310 | გენჩლერბირლიგი-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| 5311 | ბორდო-ბრიუგე | 1,7 | 1,9 |
| 5312 | ოსერი-პსვ | 1,7 | 1,9 |
| 5313 | ნიუკასლი-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 5314 | ბენფიკა-ინტერი | 1,65 | 1,95 |
| 5315 | სელტიკი-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| 5316 | ლივერპული-მარსელი | 1,7 | 1,9 |
| 5317 | ვილიარეალი-რომა | 1,65 | 1,95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5501 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5502 | ჩელსი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | იუვენტუსი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | ლიონი-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | მანჩესტერი-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | არსენალი-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | მილანი-სპარტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | მონაკო-ლოკომოტივი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | რეალი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | გენჩლერბირლიგი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | ბორდო-ბრიუგე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | ოსერი-პსვ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ნიუკასლი-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ბენფიკა-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | სელტიკი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ლივერპული-მარსელი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ვილიარეალი-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5201 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 1,75 | 1,85 |
| 5202 | ჩელსი-შტუტგარტი | 1,7 | 1,9 |
| 5203 | იუვენტუსი-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |
| 5204 | ლიონი-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |
| 5205 | მანჩესტერი-პორტუ | 1,9 | 1,7 |
| 5206 | არსენალი-სელტა | 1,9 | 1,7 |
| 5207 | მილანი-სპარტა | 1,85 | 1,75 |
| 5208 | მონაკო-ლოკომოტივი | 1,7 | 1,9 |
| 5209 | რეალი-ბაიერნი | 1,8 | 1,8 |
| 5210 | გენჩლერბირლიგი-ვალენსია | 1,7 | 1,9 |
| 5211 | ბორდო-ბრიუგე | 1,7 | 1,9 |
| 5212 | ოსერი-პსვ | 1,65 | 1,95 |
| 5213 | ნიუკასლი-მალიორკა | 1,8 | 1,8 |
| 5214 | ბენფიკა-ინტერი | 1,7 | 1,9 |
| 5215 | სელტიკი-ბარსელონა | 1,75 | 1,85 |
| 5216 | ლივერპული-მარსელი | 1,7 | 1,9 |
| 5217 | ვილიარეალი-რომა | 1,7 | 1,9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5401 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 1,8 | 2,0 |
| 5402 | ჩელსი-შტუტგარტი | 1,4 | 3,0 |
| 5403 | იუვენტუსი-დეპორტივო | 1,45 | 2,8 |
| 5404 | ლიონი-სოსიედადი | 1,65 | 2,3 |
| 5405 | მანჩესტერი-პორტუ | 1,35 | 3,2 |
| 5406 | არსენალი-სელტა | 1,25 | 3,7 |
| 5407 | მილანი-სპარტა | 1,2 | 4,0 |
| 5408 | მონაკო-ლოკომოტივი | 1,4 | 3,0 |
| 5409 | რეალი-ბაიერნი | 1,45 | 2,8 |
| 5410 | გენჩლერბირლიგი-ვალენსია | 2,1 | 1,75 |
| 5411 | ბორდო-ბრიუგე | 1,6 | 2,4 |
| 5412 | ოსერი-პსვ | 1,7 | 2,2 |
| 5413 | ნიუკასლი-მალიორკა | 1,45 | 2,8 |
| 5414 | ბენფიკა-ინტერი | 1,9 | 1,9 |
| 5415 | სელტიკი-ბარსელონა | 1,9 | 1,9 |
| 5416 | ლივერპული-მარსელი | 1,4 | 3,0 |
| 5417 | ვილიარეალი-რომა | 1,95 | 1,85 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5102 | ჩელსი-შტუტგარტი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5103 | იუვენტუსი-დეპორტივო | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5104 | ლიონი-სოსიედადი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5105 | მანჩესტერი-პორტუ | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5106 | არსენალი-სელტა | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5107 | მილანი-სპარტა | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5108 | მონაკო-ლოკომოტივი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5109 | რეალი-ბაიერნი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5110 | გენჩლერბირლიგი-ვალენსია | 5,0 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 5111 | ბორდო-ბრიუგე | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5112 | ოსერი-პსვ | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5113 | ნიუკასლი-მალიორკა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5114 | ბენფიკა-ინტერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5115 | სელტიკი-ბარსელონა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5116 | ლივერპული-მარსელი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5117 | ვილიარეალი-რომა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13.03 | 16.30 | 6001 | ინგლისი პლ (XXVIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 13.03 | 18.30 | 6002 | გერმანია ბლ (XXIV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 13.03 | 21.00 | 6003 | იტალია A (XXV) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| 13.03 | 22.30 | 6004 | ესპანეთი Iდ (XXVIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 13.03 | 20.15 | 6005 | საფრანგეთი Iდ (XXVIII) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 13.03 | 21.15 | 6006 | პორტუგალია სლ (XXVI) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |
| 12.03 | 23.00 | 6007 | ჰოლანდია Iდ (XXV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 12.03 | 23.30 | 6008 | ბელგია Iდ (XXVI) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესეც ნიჭი!

## გიორგი ცინცაძე დუბლებიდან ორმაგი დუბლით ამოეწერა

გასული კვირის მთავარი „ევროქართული“ ამბავი მოსკოვში მოხდა, სადაც ნამდვილ ცსკა-ში დებიუტი ჰქონდა 17 წლის გიორგი ცინცაძეს. ქართველი გამთამაშებლის პირველი ნაბიჯი დიდ კალათბურთში დადებითად შეფასდა პრესისა და მწვრთნელების მხრიდან, ცინცაძემ მოსკოვურ დერბიში „სპარტაკს“ ორმაგი დუბლი შეუსრულა.

ცინცაძე დიდი ნაბიჯებით მიიწევს დიდი კალათბურთისკენ. შარშან ამ დროს ის საქართველოს ჩემპიონატის თინეიჯერულ გუნდ „აკადემიაში“ თამაშობდა, შემდეგ კი, სანთელსაკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო, ბათუმის „ბასკოში“ გადავიდა, საიდანაც ცსკა-ში ამოყო თავი.

შაბათს ცინცაძის პირველი ნაღდი ოცნება ახდა, ის მათთან ერთად გავიდა მოედანზე ოფიციალურ მატჩში, ვინც ევროლიგას აზანზარებენ და ამ ტურნირის მოგების უპირველეს კანდიდატებად ითვლებიან. ცინცაძე ჯერ კიდევ შორსაა ცსკა-ში სისტემატიური თამაშისგან და ტონა ოფლის დაღვრა მოუწევს დუბლიორთა გუნდში, რომელიც, სხვათა შორის, ცინცაძის დამსახურებით, რუსეთის თასის მერვედფინალშია.

ცსკა-მ, რომელიც მრავალ ფრონტზე იბრძვის, ფედერაციის თასზე თამაში დუბლიორებს მიანდო და ახალგაზრდა არმიელებმაც რუსული სუპერლიგის გუნდებთან ჭიდილში მერვედფინალამდე მიაღწიეს, სადაც მათ ბავშვურ ენთუზიაზმს გამოცდილი „ხიმკი“ გადაეღობა. ქიმიკოსებთან ცინცაძე მხოლოდ 10 წუთი დაასაქმეს, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მეორე დღეს აპირებდნენ, დიდ გუნდში საქმეში ენახათ. სუპერლიგის აუტსაიდერ „სპარტაკთან“ გამოიცადა კიდევ ერთი არმიელი დუბლიორი ვალერი ლიხოდეი, რომელსაც ცინცაძის მესამედი დრო მისცეს და ქართველის დარი წარმატებით როდი გარჯილა.

სხვა მნიშვნელოვანი სიახლე ქართულ ლეგიონში არ მომხდარა გასულ კვირაში, თუმცა ვინ რა გააკეთა, ორ-ორი სიტყვით მოვყვებით. ფრანგულ „დიჟონში“ ისევ სტაბილურად თამაშობს ვახტანგ ნაცვლიშვილი, რომელმაც ამჯერად „ბურგის“ დამარცხებაში დაეხმარა თავისიანებს. ვატო ამ ბოლო დროს თავის საშუალო სათამაშო დროზე ნაკლები ხნით გადის მოედანზე, მაგრამ მისი შედეგიანობა არ კლებულობს. „ბურგთან“ მან 21 წუთში 16 ქულა მოიხვეჭა, რითაც კიდევ უფრო გაიუმჯობესა სტატისტიკური მაჩვენებლები.

ვიქტორ სანიკიძეს კი ჯერაც ბევრი უკლია დიჟონელთა ლიდერებში გარევამდე. მას მცირე ხნით ათამაშებენ და ასე იყო „ბურგთანაც“ — 7 წუთში სანიკიძემ აღსანიშნი ვერაფერი გააკეთა.

ევროლიგას შემორჩენილი ერთადერთი ჩვენიანი ვლადიმერ ბოისა თავგამოდებით იბრძვის, თუმც მისმა „ოლიმპიამ“ ტოპ-16-ის სადებიუტო მატჩი წააგო ბოლონიაში. ბოისამ და მთელმა „ოლიმპიამაც“ ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ ყოჩაღი „სკიპერის“ მისსავე სარბიელზე გატეხვა ვერაფრით მოახერხეს. ამ წაგებით გამოწვეული დარდის გასაქარვებლად ლიუბლიანელბს ადრიატიკის ლიგაზე მოპოვებული გამარჯვება გამოადგებათ. „ოლიმპიამ“ თანაქალაქელი „სლოვანი“ ისტუმრა და ძველი, უდარდელი დროებისგან განსხვავებით იოლად ვერ მოუგო. სლოვანელთა დაჩოქებაში კაპიტნის წილი მიუძღვის ვოვა ბოისას, რომელიც 14 ქულით თავისი გუნდის ბომბარდირი გახდა.

„ევრო-ივერიული“ ამბები მანუჩარ მარკოიშვილით დავასრულოთ, ვისმა „მიტელდოიჩერმაც“ ისევ წააგო ბუნდესლიგაში და მეტად გაირთულა საქმე. მარკოიშვილი რომ მივიდა, ვეისენფელსელებმა მიჯრით 4-ჯერ იძალეს ბუნდესლიგაში, მას მერე კი ზედიზედ მესამე მატჩში მარცხდებიან.

შაბათს ვეისენფელსელებმა ევროლიგის ყოველწლიურ სტუმარს, მიმდინარე ბუნდესლიგის ლიდერ „ალბას“ უმასპინძლეს და 10 ქულით დამარცხდნენ. საუკეთესოთა შორის იყო მარკოიშვილი — 24 წუთში 11 ქულა მოაგროვა, მაგრამ მრისხანე მეტოქის გატეხვას ეს არ ეყო.

ამერიკაში კი არნახულად უჭირთ ქართველებს. ვლადიმერ სტეფანიას ჯერ სურდო ჰქონდა და არაერთი მატჩი გაუცდა, თუმც რა ხანია უკვე ჯანზეა, მაგრამ „პორტლენდის“ განაცხადში ველარ ხვდება. „ორლანდოში“ ამ ბოლო დროს თითქოს გაშინაურებულ ფაჩულიასაც აღარ ენდობიან, 15-20 წუთიანმა მატჩებმა ჩაიარა, ქართველი ცენტრი ძირითადად სკამზე ზის, ხოლო როცა შანსს მისცემენ, დასამახსოვრებელს ვერაფერს აკეთებს.

**ირაკლი პერტაია**



გიორგი ცინცაძე სიმაღლეში იზრდება

## ქართული ლეგიონი გასულ კვირაში

| | გუნდი | მეტოქე | ტურნირი | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | წ/ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმირ ბოისა | ოლიმპია | სკიპერი<br>სლოვანი | ევროლიგა<br>ადრიატიკის ლიგა | ს<br>შ | 76:84<br>72:68 | 32<br>34 | 8<br>14 | 4<br>5 | 1<br>2 | 29/10<br>29/13 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | ბურგი | საფრანგეთის ჩემპ. | ს | 98:85 | 21 | 16 | 5 | 1 | 25/15,5 |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | ბურგი | საფრანგეთის ჩემპ. | ს | 98:85 | 8 | 0 | 1 | 1 | 5/1,7 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | მიტელდოიჩერი | ალბა | ბუნდესლიგა | შ | 83:93 | 24 | 11 | 1 | 3 | 30/11,3 |
| გიორგი ცინცაძე | ცსკა (დუბლები)<br>ცსკა | ხიმკი<br>სპარტაკი | რუსეთის თასი<br>რუსეთის სუპერლიგა | ს<br>შ | 82:107<br>115:62 | 10<br>23 | 5<br>10 | 0<br>5 | 1<br>11 | 23/14<br>23/10 |
| ზაზა ფაჩულია | ორლანდო | ბოსტონი<br>მილუოკი<br>ატლანტა<br>საკრამენტო | NBA.რეგულარ. ჩემპ.<br>NBA.რეგულარ. ჩემპ.<br>NBA.რეგულარ. ჩემპ.<br>NBA.რეგულარ. ჩემპ. | ს<br>შ<br>შ<br>შ | 96:117<br>97:105<br>101:96<br>90:107 | 10<br>არ უთამაშია<br>არ უთამაშია<br>4 | 3<br><br><br>0 | 1<br><br><br>1 | 1<br><br><br>0 | —<br>—<br>—<br>11,9/3,5 |
| ნიკა ცქიტიშვილი | დენვერი | დეტროიტი<br>ინდიანა | NBA.რეგულარ. ჩემპ.<br>NBA.რეგულარ. ჩემპ. | შ<br>შ | 66:97<br>94:103 | 12<br>არ უთამაშია | 0<br> | 2<br> | 0<br> | —<br>7,7/2,5 |

**შენიშვნა**: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი;
წ/ქ — ტურნირის მატჩებში საშუალოდ ნათამაშები წუთები და მოგროვილი ქულები; ს — სტუმრად; შ — შინ

## რეგულარული ჩემპიონატი

7 მარტი

**კლიპერსი 91:71 პორტლენდი**
კლიპერსი: ჰარისი (4), რიჩარდსონი (9), მეჯეტი (16), ბრენდი (21), კამანი (12); დულინგი (12), საიმონსი (8), ვილკოქსი (4), დრობნიაკი (2), ბარნსი (2), ელი, ჰაუსი
პორტლენდი: სტუდემაიერი (2), ანდერსონი (22), მაილზი (22), აბდურ-რაჰიმი (13), რეთლიფი (3); დევისი (4), პატერსონი (2), გილი (1), ვუდსი, კუკი, დიკაუ
*სტეფანია* განაცხადში არ იყო

**ორლანდო 90:107 საკრამენტო**
ორლანდო: ლუ (13), სტივენსონი (13), მაკგრეიდი (13), ჰოვარდი (26), დეკლერკი (4); ბოგანსი (8), რუქსი (5), პენიჯარი (4), გეინისი (2), ჰანტერი, ფაჩულია (4 წუთი, 1 მოხსნა)
საკრამენტო: ბიბი (26), კრისტი (13), სტოიაკოვიჩი (28), მილერი (22), დივაცი (10); მასენბურგი (4), ბაფორდი (2), სონგაილა (2), პილერი, სმიტი

**დენვერი 94:103 ინდიანა**
დენვერი: მილერი (12), ლენარდი (12), ენტონი (29), ნენე (8), კემბი (8); ბოიკინსი (10), ვაიტი (9), ელსონი (4), ბოლიკი (2)
*ცქიტიშვილი* სათადარიგო იყო
ინდიანა: ჯონსონი (21), მილერი (9), არტესტი (8), ონილი (31), ფოსტერი (11); ანდერსონი (9), ჯონსი (5), კროშერი (5), ჰარინგტონი (4), ბენდერი

**მინესოტა 77:80 ბოსტონი**
მინესოტა: გარნეტი (20)
ბოსტონი: ველში (18)

**ლეიკერსი 84:88 ნიუ ჯერსი**
ლეიკერსი: ონილი (32)
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (21)

**ჰიუსტონი 101:98 დალასი**
ჰიუსტონი: მინგი (29)
დალასი: ნეში (22)

**ტორონტო 84:76 ნიუ ორლეანი**
ტორონტო: კარტერი (26)
ნიუ ორლეანი: მალუა (23)

**ვაშინგტონი 86:99 ნიუ იორკი**
ვაშინგტონი: არენასი (26)
ნიუ იორკი: მარბერი (24)

**გოლდენ სტეიტი 85:95 მემფისი**
გოლდენ სტეიტი: დამპიე (13)
მემფისი: უილიამსი (17)

**სიეტლი 65:86 დეტროიტი**
სიეტლი: ლუისი (16)
დეტროიტი: ბ. ვოლესი (12)

## საქართველოს ჩემპიონატი

IV წრის კალენდარი

| | |
|---|---|
| **9 მარტი – სამშაბათი** | |
| ქუთაისი — სტუ-ჯეოსელი | 15.00 |
| სსუ — ბასკო | 17.00 |
| **10 მარტი – ოთხშაბათი** | |
| თსუ — ბასკო | 15.00 |
| ქუთაისი — რუსთავი | 17.00 |
| **13 მარტი – შაბათი** | |
| მაკაბი — დინამო | 15.00 |
| ქუთაისი — სსუ | 17.00 |
| ბასკო — რუსთავი | 17.00 |
| **14 მარტი – კვირა** | |
| ქუთაისი — თსუ | 15.00 |
| სტუ-ჯეოსელი — სსუ | 17.00 |
| **17 მარტი – ოთხშაბათი** | |
| სტუ-ჯეოსელი — თსუ | 15.00 |
| ბასკო — მაკაბი | 17.00 |
| **18 მარტი – ხუთშაბათი** | |
| სსუ — თსუ | 13.00 |
| რუსთავი — დინამო | 17.00 |
| **21 მარტი – კვირა** | |
| სსუ — მაკაბი | 15.00 |
| დინამო — ქუთაისი | 17.00 |
| რუსთავი — თსუ | 17.00 |
| **22 მარტი – ორშაბათი** | |
| დინამო — სტუ-ჯეოსელი | 15.00 |
| მაკაბი — ქუთაისი | 17.00 |
| **8 აპრილი – ხუთშაბათი** | |
| მაკაბი — თსუ | 15.00 |
| დინამო — სსუ | 17.00 |
| რუსთავი — სტუ-ჯეოსელი | 1,00 |
| ბასკო — ქუთაისი | 17.00 |
| **10 აპრილი – შაბათი** | |
| დინამო — თსუ | 15.00 |
| მაკაბი — სტუ-ჯეოსელი | 17.00 |
| რუსთავი — სსუ | 17.00 |
| **14 აპრილი – ოთხშაბათი** | |
| სტუ-ჯეოსელი — ბასკო | 15.00 |
| მაკაბი — რუსთავი | 17.00 |
| **18 აპრილი – კვირა** | |
| ბასკო — დინამო | 17.00 |

## მიხეილ ბურძგლა

# ახლა გვჭირდება დახმარება

## მწვრთნელთა კავშირი ინფორმაციას აგროვებს



ბადრი ქეთილაძის ფოტო

*ერთა თასის დასრულებამდე ორი თამაში დარჩა. საქართველოს ნაკრებმა უკვე სამი შეხვედრა გამართა და ყველანაირ შედეგს გაუსინჯა გემო. ნაგებას ფრე მოჰყვა, ბოლოს კი რუსებთან გამარჯვებაც ვიზეიმეთ. ქულების მოპოვების მხრივ აშკარად ვპროგრესირებთ, მაგრამ ახალი გუნდის მკეთებელი მწვრთნელებისთვის ახლა შედეგზე უფრო მნიშვნელოვანი გამართული რაგბის მოთამაშე გუნდის დაყენებაა. ბორჯღალოსნების შემდეგი მეტოქე ჯგუფის ერთ-ერთ აუტსაიდერად მიჩნეული ჩეხეთია. ცხადია, ექსპერიმენტების ჩატარებაც შედარებით ნაკლებ რისკთანაა დაკავშირებული. სამომავლო გეგმებზე და უკვე ჩატარებულ თამაშებზე მწვრთნელ მიხეილ ბურძგლას გავესაუბრეთ*

— რუსეთთან თამაშის შემდეგ რა შეიცვლება ნაკრებში?

— ვიდრე ამ კონკრეტულ საკითხს შევეხებოდე, მინდა გულისტკივილი გამოვთქვა. აუცილებლად კაშკაშა მზე უნდა იყოს მაყურებელი რომ მოვიდეს? ეროვნულ ნაკრებს ხომ ყველაზე მეტად ახლა სჭირდება გვერდში დგომა. გარდა ამისა, ჯერჯერობით მოუგვარებელი რჩება ფინანსური პრობლემა. მარტო საერთაშორისო გრანტი საქმეს არ ყოფნის. ყურადღება ძირითად ნაკრებთან ერთად სხვადასხვა ასაკის ნაკრებებსაც უნდა მიექცეს. თუ სახელმწიფოს მხრიდან ისეთივე დამოკიდებულება იქნება რაგბის მიმართ, როგორიც ადრე იყო, თუ გვერდში არ დაგვიდგნენ, მაშინ ვისაც უნდა, იმან მიხედოს ამ საქმეს. აი ეს არის პირველ რიგში საგანგაშო და არა კონრეტული საკითხები.

**— გასაგებია, მაგრამ ნამდვილი გულშემატკივარისთვის, წმინდა სპორტული ინფორმაცია უფრო საინტერესოა. რა სიახლეებს ველოდოთ 20 მარტისთვის?**

— ჩეხეთთან გუნდში რამდენიმე ახალი სახე გამოჩნდება. ირაკლი გუნდიშვილი ალბათ ტრავმის მოშუშებას მოასწრებს და ჩეხეთთან შეხვედრამდე შემოგვიერთდება. გვნიდა გამოვცადოთ გიორგი შკინინი. ჩამოვიყვანთ საფრანგეთში მოთამაშე მორკინალებს ნიკო ჭავჭავაძესა და გაგა ჯორჯაძესაც. შეიძლება სხვა სიახლეებიც იყოს.

**— ჩეხეთი ერთ-ეთრი უსუსტესია ჩვენს ჯგუფში. აქედან გამომდინარე, ტაქტიკურ სიახლეს და ექსპერიმენტებს ხომ არ უნდა ველოდოთ?**

— ჯერ ვერ გეტყვით. პირველ რიგში რუსეთთან ტრავმამიღებული ბიჭების შემცვლელები უნდა მოვძებნოთ.

**— ალბათ რამდენიმე ვეტერანსაც მოიsaკლისებთ. იგივე ლაბაძეს, რომელიც ნაკრებს მხოლოდ რუსეთთან სათამაშოდ დაუბრუნდა.**

— არც ლაბაძეს, არც დიდებულიძეს და არც სხვას ჩემთან საუბრისას ნაკრებიდან წასვლის თაობაზე სიტყვა არ დაუძრავს. ასე რომ როცა გამოვიძახებთ, ჩამოვლენ. ერთადერთი გამონაკლისი ცაბაძეა, რომელმაც ერთი წლით დასვენება გვთხოვა. შეიძლება ჩეხეთთან ამდენი ლეგიონერი არ დავაყენოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანზე უარს ვამბობთ.

**— სამი თამაში ჩატარდა, მწვრთნელის აზრით, რა კომპონენტებში იგრძნობა პროგრესი და რაში არა?**

— ამ ეტაპზე მთავარი, რაზეც აქცენტს ვაკეთებთ, ნაკრებისთვის საჭირო მორაგბეებზე ამომწურავი ინფორმაციის მიღებაა. ვნახულობთ, ვის როგორ შეუძლია ადაპტირება და სიტუაციის შეფასება. ჯერ გუნდი არ შეკრულა და პოზიციებზე საუბარიც ნაადრევია. ერთს კი გეტყვით, მიუხედავად მარცხისა, პორტუგალიასთან თამაში შედარებით გამართული იყო, ვიდრე დანარჩენი ორი.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ქართულ რაგბის პატრონი და ქომაგი მოაკლდა



# ეკლსტოუნის ელეთმელეთი

## შუმის გამარჯვება ფორმულას დამარცხებაა

*კვირას დაწყებულ მეფორმულეთა 55-ე ჩემპიონატის პირველივე ეტაპზე „ფერარის" შთამბეჭდავი დუბლით (პირველ-მეორე ადგილები) გამარჯვებამ მეტოქეებს აშკარად წაუხდინა გუნება. არაჩვეულებრივად სწრაფი, უნაკლო წითელი ბოლიდების დომინირებამ მათ კონკურენტებს დიდი თავსატეხი გაუჩინა – მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო სტარტიდანვე დაფეთებულები გაცვივდნენ წინ და 300-კილომეტრიან დისტანციაზე არავის დაუტოვეს წამოწევის მცირედი შანსიც კი*



ბერნი ეკლსტოუნს და მიხაელ შუმახერს შორის წითელმა კატამ გაირბინა

ისეთი შთაბეჭდილება შეიქნა, თითქოს სეზონთშორის ხუთთვიურში მხოლოდ „ფერარი" და მესამე ადგილზე გასული „რენო" იყო. ტექნიკურ სიახლეთა ძიებაში, უილიამს-მაკლარენელებმა კი ახალი მანქანის მხოლოდ დამზადება იკმარეს. არადა, სწორედ ისინი ქოთქოთებდნენ სკუდერიელებზე მეტად.

ხუან-პაბლო მონტოიას „უილიამსი" ზამთრის ტესტებზე მართლაც ძალიან სწრაფი იყო, რამდენჯერმე განაახლა ტრეკების მიღწევები და პატრონსაც ჩემპიონობის იმედი გაუღვივა. „აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებთ პირველივე ეტაპიდან გამარჯვების მოპოვებას. ზამთარში ჩინებულად ვიმუშავეთ და წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად ბევრად სწრაფი მანქანა გვაქვს. მე უკვე გაცილებით გამოცდილი ვარ და მანქანაც ისეთია, რომლითაც საჩემპიონო მიზნის ასრულებას შევძლებ" — ბაქიბუქობდა კოლუმბიელი მძღოლი.

მონტოია მელბურნში მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდა. ფერარელების გარდა მას 22 წლის რენოელმა ფერნანდო ალონსომ და თანაულიამსელმა რალფ შუმახერმაც გაასწრეს. რაც თეთრ-ცისფერებისთვის უფრო პრობლემატური ჩანს, ხუანმა მიხაელთან ძალიან ბევრი, წუთი და ათი წამი წააგო.

უარესი დაემართა შარშანდელ ვიცე-ჩემპიონ კიმი რაიკონენს — კვალიფიკაციაც ჩააფლავა (მეათე შედეგი ჰქონდა) და რბოლაშიც მხოლოდ ორმოცდაათიოდე კილომეტრის გავლა შეძლეო, მერე კი ძრავააბოლებული ტრასისპირა მოხრეშილ ზონაში გაიჭედა.

არადა, „მაკლარენმა" 2004 წლის მოდელი შარშან ნოემბერში, ყველაზე ადრე გამოსცადა და „ყინულის კაცი" კიმიც სიახლით აღტაცებას ვერ ფარავდა. თუმც მოგვიანებით ტონი შეიცვალა, მანქანა სისწრაფეში მოიკოჭლებს და ხშირადაც ფუჭდება, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ავსტრალიაში ფინიშამდე ვერ მივალო.

ისე აგიხდეთ ყველაფერი. „ვერცხლისფერებმა" მწვანე კონტინენტი დევიდ კულჰარდის საშუალოდ მერვეადგილო კინკილა ქულით დატოვეს. საჯინიბოს ბოსობა, ცხადია, უკმაყოფილოა: „ძალიან საწყენია, რომ პირველივე რბოლაში მანქანამ, რომელზეც თითქმის ორი წელი ვმუშაობდით, ასე გვილალატა და გუნდი მხოლოდ ერთი ქულით „გააბედნიერა". ჩვენი მიზანი პირველივე ეტაპიდან მოგებისთვის ბრძოლა იყო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. აუცილებელია ტექნიკის გაუმჯობესება და ყველამ ვიცით, რა არის ამისთვის საჭირო. ორი კვირის შემდეგ მალაიზიაში პროგრესის იმედი გვაქვს."

ბუნებრივია, საპირისპირო განწყობაა ფერარელთა ბანაკში. ისე, დუბლიანი ტრიუმფი მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. „არ ველოდი, თუ ამხელა უპირატესობა გვექნებოდა, გამაკვირვა ჩვენსა და მეტოქეებს შორის სისწრაფეში ასეთმა სხვაობამ. ეს იდეალური რბოლა იყო, თუმც არც ისე იოლი, როგორც ჩანს. ჩინებულია, რომ ავსტრალიას იმაზე ორი ქულით მეტით ვტოვებთ, ვიდრე შარშან სამი ეტაპის შემდეგ მქონდა" — კმაყოფილია მიხაელ შუმახერი.

სამაგიეროდ, რაგინდ გასაოცარიც უნდა ჩანდეს, „ფერარის" ტოტალურმა დომინირებამ ხასიათი წაუხდინა ფორმულა ერთის გამგებელ ბერნი ეკლსტოუნს: „ეს ის არაა, რისი იმედიც გვქონდა და რასაც ვვარაუდობდით. ეს კატასტროფაა! „ფერარი" სწრაფი არ უნდა ყოფილიყო, თითქოს მათ ძრავისა და საბურავების პრობლემა უნდა ჰქონოდათ, მსგავსი კი არაფერი მოხდა. ჩვენ ახალი ჩემპიონი გვჭირდებოდა."

ბოლოს იმაზე, რომ მიხაელ შუმახერმა „ალბერტ პარკის" ხუთკილომეტრიან ტრეკზე კვალიფიკაციაც მოიგო, რბოლაც, უსწრაფესი წრეც მისი იყო და სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობაც არავისთვის დაუთმია. ეს ოთხი კომპონენტი საფორმულო „დიდ სლემად" ითვლება და მეტად ძნელი შესასრულებელია. „წითელმა ბარონმა" 196-რბოლიან კარიერაში ეს მხოლოდ მეოთხედ შეძლო — ორჯერ „ბენეტონის" (1994) და ორჯერაც „ფერარის" (2002,2004) შემადგენლობაში. რეკორდი კი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ჯიმ კლარკს ეკუთვნის. ლეგენდარულმა ბრიტანელმა 1960-68 წლებში რვა „სლემი" შეკრა, ხუთი აქვს ასევე ორგზის ტიტულიან იტალიელს ალბერტო ასკარის (1952-53).

**გია ახალაძე**

# გრიქუროვი ასანიძეს პოლონეთში მალავს

ოლიმპიური ლიცენზიის გარეშე დარჩენილ ძალოსნებს ერთადერთ შანსად აპრილში უკრაინაში გასამართი ევროპის ჩემპიონატიღა რჩებათ. ათენის საგზურები იქ გუნდური პრინციპით განაწილდება, თუმცა გამონაკლისს კარგად მოასპარეზე ინდივიდუალებზეც დაუშვებენ. საქართველოს ნაკრების ძირითადი იმედი და გამჩევი ძალა გიორგი ასანიძე იძულებითი შესვენების შემდეგ აგერ უკვე მეორე თვეა, პოლონეთშია და პირად მწვრთნელ ვანო გრიქუროვთან ემზადება. გრიქუროვი პოლონეთის ოლიმპიურ რეზერვებს ხელმძღვანელობს და მისთვის იქაური ნაკრების სამი ძალოსანიც ჩაუბარებიათ. გრიქუროვს ქართველი მსოფლიოს ჩემპიონის ჩაყვანაზე პრობლემები შეექმნა, პოლონელებმა ულტიმატუმები წაუყენეს, მაგრამ გამოცდილი სპეციალისტის დაკარგვას ისევ თვალის დახუჭვა ამჯობინეს.

— გიორგის სავარჯიშოდ ჩამოყვანა ჯერ კიდევ შარშან გადავწყვიტე. იანვარში ჩამოვიდა კიდეც, მაგრამ აქაურმა ფედერაციამ და ოლიმპიურმა კომიტეტმა საქართველოს ნაკრების წევრის პოლონელებთან მზადება არ ისურვეს და არჩევანის წინაშეც დაგვაყენეს. ან მარტო ჩვენთან დარჩები, ან მთლიანად ქართველებზე გადაერთვებიო. ასანიძეს უპატრონოდ ვერაფრით ვერ დავტოვებდი, ადგილის დაკარგვადაც რომ დამჯდომოდა. ბოლოს დათმობაზე წავიდნენ და მითხრეს, გააკეთე, რაც გინდა, ოღონდ არაოფიციალურადო. ჩვენ თვალს დავხუჭავთო.

— არაოფიციალურობა ალბათ მათთვის ფინანსურ დანაზოგებს გულისხმობს.

— რა თქმა უნდა. ასანიძის ცხოვრებისა და კვების ფულს ქართული ოლიმპიური კომიტეტი იხდის.

— უკვე პოლონელ ძალოსნებთან ერთად ვარჯიშობს?

— მე პოლონეთის ნაკრების სამ წევრს შიმონ კოლეცკის, რობერტ დოლენგას და გჟეგოჟ კლეშჩს ვწვრთნი და გიორგიც სულ მათ გვერდითაა. სხვადასხვა ოლიმპიურ ცენტრში დავდივართ და დღეში ორჯერ საუკეთესო პირობებში ვვარჯიშობთ.

— რომელიმე ადგილობრივ ტურნირში ხომ არ გამოგიცდიათ?

— ახლახან პოლონეთის ერთ-ერთი ოლქის შეჯიბრზე გამოვიდა და რასაც ველოდით, ის შედეგი აჩვენა. მას შემდეგ კიდევ უფრო მოუმატა. მარტის ბოლოს ერთი საინტერესო სალიგო ტურნირიც გველის. მასზე ასანიძე ჩეხეთის მეორე გუნდის სახელით გამოვა. პირველში მის წონაში ცხინვალელი არსენ კასაბიევი იასპარეზებს.

— საინტერესოა, სადღეისოდ როგორ ფორმაშია?

— ჩვეულ ფორმამდე ჯერ ბევრი უკლია, თუმცა ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. თითქმის ერთი თვეა, აქაა და პროგრესი აშკარაა.

— ევროპის ჩემპიონატზე ლიცენზიის მოსაგებად მზად იქნება?

— აუცილებლად. ესაა მთავარი მიზანი და ცდას არ დავაკლებთ. თუმცა სულაც არ მინდა, საუკეთესო ფორმას აპრილისთვის მიაღწიოს. ეს სრულიად შესაძლებელია, მაგრამ არასასურველი. პიკზე ოლიმპიადამდე ორიოდე თვით ადრე უნდა ავიდეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ბადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი ასანიძემ და ვანო გრიქუროვმა ქართული ძალოსნობა ადგილიდან დაძრეს



# როჯერთან სეტიც საქმეა
## ლოპესს პესო წაგებისთვისაც ერგო

**THE DUBAI TENNIS CHAMPIONSHIPS**

ჰარდი. საპრიზო 1 მილიონი $

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 4:6, 6:1, 6:2**

ფელისიანო ლოპესი როჯერ ფედერერის დარად 22 წლისაა, მაგრამ ამის მეტი მასთან საერთო არაფერი აქვს. შვეიცარიელი რანგით პირველია, ჩოგანს მარჯვენა ხელით აქნევს და იმ დღეს მას მესამე პირადი შეხლა რომ მოუგო, ამით კარიერის მეცამეტე, ხოლო სეზონის მეორე ტიტულიც მიითვალა. მსოფლიო რეიტინგსიის 29-ეადგილოსანი ლოპესი კი ცაცია გახლავთ და ტიტულს ვინ ჩივის, ამ დუბაობამდე სადგინდასად ფინალშიც არ ეთამაშა.

ისე, საკვირაო შეხლა მან კაცურად დაიწყო — შარშანდელ ჩემპიონს შლეგივით მიეძალა, მძლავრი მოწოდებები დაუშინა, ნატიფი ხელუკუღმითაც დააწიოკა და იმის მიუხედავად, რომ ფედერერი ბევრს ეცადა, სეტი ჩოგნიდან აღარ გაუშვია. თუმცა მერე ალპელის ზებუნებრივმა უნარებმა თავისი გაიტანა, უსტაბაშმა მატჩის სადავეები უკუიპყრა და ისე ზლაპრულად აჩოგნავდა, რომ ანგარიშს ლოპესი კი არა, საკონსტიტუციო სასამართლოც ვერ გააუქმებდა.

ამგვარად, ფედერერი გახდა პირველი მეჩოგნე, ვინაც დუბაური ტიტულის შენარჩუნება შეძლო. სხვათა შორის, ეს მისი მეჩვიდმეტე საამსეზონო მატჩი იყო და ერთი მარცხის წილ ის უკვე თექვსმეტ გამარჯვებას მოიძევს.

**მეხსიკის ღია პირველობა**

აკაპულკო

საპრიზო 652 ათასი $

**ფინალი**

**კარლოს მოია (1, ესპანეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:3, 6:0**

ფელისიანო ლოპესივით თავის პირველ საკარიერო ფინალში მოპაექრე ფერნანდო ვერდასკო კარლოს მოიას სულაც გაუძალიანებლად დანებდა. მოიამ 128 ათას დოლართან ერთად კარიერის მეთექვსმეტე, ხოლო სეზონის (ჩენაურის შემდეგ) მეორე ტიტული მოიმკა. საერთოდ კი, 27 წლის მალიორკელი წლეულს ხუთ ტურნირზე გამოვიდა და აქედან ოთხში ფინალამდე გაატანა. შედეგად ორი ტიტული და (სამი მარცხის მაგრადსაპირწონედ) 18 მოგება, რამდენიც სხვას ჯერ არავის დაეკვეხება. ჭაბუკი ვერდასკო თავს კარიერის პირველი ფინალის გარდა იმითაც გაიმხნევებს, რომ აკაპულკომდე რეიტინგსიის 103 საფეხურზე იდგა, ნააკაპულკოევს კი უკვე ზეასეულელი გახდება. ეს კი ყველა ახალბედის უპირველესი ამოცანაა.

**FRANKLIN TEMPLETON CLASSIC**

სკოტსდეილი. მაგარსაფარი

საპრიზო 380 ათასი $

**ფინალი**

**ვინსენტ სპედია (4, აშშ) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 7:5, 6:7 (5:7), 6:3**

ამერიკელი ვინს სპედია უკვე 29 წლის ჭარმაგოსანი გახლავთ, პროფესიონალად ჩოგნაობის თერთმეტი წლის განმავლობაში 223 ტურნირზე გარჯილა, მაგრამ წლევანდელ სკოტსდეილობამდე ვერ იჭნა და ერთი ქეციანი ტიტულიც ვერ იშოვა. ამიტომ ცხადია, რომ მისი ამ გამარჯვებისას, (რასაც წონას მის მიერ ნახევარფინალში ენდი როდიკის ძლევაც მატებს) ყველა კეთილი ნების ადამიანთან ერთად ჩვენც გამორჩეული განსხვავებულით შევსვამთ.

ნასმურევს კი მხოლოდ იმას დავძენთ, რომ იგი ამ სეზონის უკვე მესამე პირველტიტულოსანია. კარიერის სასიფთაო ჯილდოები სპედიამდე წლეულს ფრანგმა დიუპუიმ (მილანში) და ლეიტონ ჰიუიტის დის, ჯასლინის შვედმა ხვალმა იოხიმ იოჰანსონმა (მემფისში) მოირეწეს.



## რეგულარული ჩემპიონატი



ედმონტონელი რადეკ დვორჟაკი „ჩიკაგოს“ კართან ფაციფუცობს

# კოლორადოს ჭია შეუჩნდა

— 7 მარტი —

**დალას 4:0 სან ხოსე**

*2:0 1:0 1:0*

1:0 კლემი (2), 2:0 ტარჯონი (6), 3:0 დიმაიო (31), 4:0 კორსენი (55)

უფრთხილდით „დალასს“! და ეს მხოლოდ სან ხოსეს არ ეხება. წყნარი ოკეანის დივიზიონის ამ ორ ლიდერს შორის დისტანცია ორ ქულამდე შემცირდა. უღიმღამო სტარტის შემდეგ ტეხასელები ნელ-ნელა ათამაშდნენ და ხუთი წლის წინანდელ დონეს მიუახლოვდნენ, როცა „ვარსკვლავები“ თავიანთი მრისხანებით ნებისმიერ მეტოქეს სუნთქვას უხუთავდნენ და ყველას და ყველაფერს ბულდოზერივით ასწორებდნენ.

კვირას მასპინძელთა კლანჭებში აღმოჩენილი „სან ხოსე“ ისე დაიბნა, რომ ორი პერიოდის განმავლობაში პრაქტიკულად ვერ გამოდიოდა თავისი ზონიდან. ამასობაში დალასელებმა სამი გოლი გაიტანეს და მატჩის ბედი გადაწყვიტეს. სურათი განსაკუთრებულად არც ბოლო მესამედში შეცვლილა და შეინ კორსონის გოლმა კიდევ უფრო ცხადყო მასპინძელთა უპირატესობა. სხვათა შორის, სულ ორიოდე კვირაა, რაც კორსონმა „დალასთან“ მოაწერა კონტრაქტს ხელი. მანამდე კი ვეტერანი ფორვარდი უკლუბოდ იყო. „მიხარია, რომ გოლი გავიტანე, მაგრამ უფრო ის მახარებს, რომ ასეთ გუნდში აღმოვჩნდი“ — თქვა მატჩის შემდეგ კორსონმა.

**კოლორადო 1:7 კალგარი**

*1:1 0:3 0:3*

1:0 ჰეიდუკი (11), 1:1 ლეოპოლდი (18), 1:2 კლარკი (22), 1:3 იგინლა (32), 1:4 კონროი (36), 1:5 ოლივა (47), 1:6 საპრიკინი (50), 1:7 საპრიკინი (60)

„კოლორადოს“ აწყობილ ძრავაში კი აშკარად რაღაც მოიშალა. ბოლო ხანს პეტერ ფორსბერგის გარეშე მოასპარეზე დენვერელები ძალიან არასტაბილურად თამაშობენ, მაგრამ ასეთ სირცხვილს, თანაც საკუთარ მოედანზე აშკარად არ მოელოდნენ. თუმც „კოლორადოს“ დაბევებული აქვს პლეი ოფი, მაშინ როცა, „კალგარის“ ყოველ მატჩში მართებს ამ მიზნისთვის ბრძოლა. „შეხედეთ ცხრილს და თავად მიხვდებით ყველაფერს. დღეს ჩვენ განსაკუთრებით მშივრები ვიყავით“ — კალგარელთა ლიდერ ჯერომ იგინლას სიტყვებიც ზემოთქმულზე მეტყველებს.

**რეინჯერსი 4:7 პიტსბურგი**

*1:1 3:3 0:3*

0:1 სკუდერი (5), 1:1 ბარნბი (14), 2:1 პოტი (24), 2:2 ტარნსტრიომი (29), 2:3 კრაფტი (32), 2:4 უილსონი (33), 3:4 იაგრი (34), 4:4 ბარნაბი (40), 4:5 კოლცოვი (54), 4:6 მელოუნი (55), 4:7 კრაფტი (57)

**ჩიკაგო 3:4 ედმონტონი**

*1:1 1:1 1:1 0:1*

1:0 არნასონი (9), 1:1 ბრიუერი (11), 2:1 არნასონი (23), 2:2 ჯ. სმიტი (27), 2:3 ბრიუერი (47), 3:3 დაზე (52), 3:4 სტოლი (61)

**ბუფალო 1:5 სენტ ლუისი**

*1:1 0:1 0:3*

0:1 დრეივი (10), როი (15), 1:2 პრონგერი (25), 1:3 დემიტრა (45), 1:4 ჩაიანეკი (52), 1:5 სილინჯერი (59)

**ფინიქსი 1:1 მინესოტა**

*1:1 0:0 0:0 0:0*

1:0 ნოვოსელტევი (5), 1:1 ბრიუნეტი (19)

| ალმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპა | 68 | 39 | 7 | 5 | 17 | 204:156 | 90 |
| ფილადელფია | 70 | 35 | 12 | 6 | 17 | 201:161 | 88 |
| ტორონტო | 69 | 37 | 9 | 3 | 20 | 198:175 | 86 |
| ოტავა | 68 | 36 | 9 | 5 | 18 | 226:151 | 86 |
| ბოსტონი | 69 | 32 | 14 | 7 | 16 | 175:157 | 85 |
| ნიუ ჯერსი | 68 | 35 | 11 | 2 | 20 | 169:137 | 83 |
| მონრეალი | 70 | 36 | 6 | 2 | 26 | 179:160 | 80 |
| აილენდერსი | 68 | 30 | 10 | 3 | 25 | 190:177 | 73 |
| ბუფალო | 68 | 30 | 6 | 1 | 31 | 176:187 | 67 |
| ფლორიდა | 69 | 24 | 14 | 3 | 28 | 152:177 | 65 |
| ატლანტა | 69 | 27 | 7 | 3 | 32 | 186:212 | 64 |
| რეინჯერსი | 69 | 24 | 7 | 5 | 33 | 180:207 | 60 |
| კაროლინა | 67 | 21 | 13 | 4 | 29 | 127:166 | 59 |
| ვაშინგტონი | 68 | 21 | 8 | 2 | 37 | 158:203 | 52 |
| პიტსბურგი | 69 | 15 | 6 | 4 | 44 | 150:267 | 40 |

| დასავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 67 | 39 | 9 | 2 | 17 | 213:152 | 89 |
| კოლორადო | 68 | 34 | 12 | 2 | 17 | 199:163 | 85 |
| სან ხოსე | 68 | 33 | 11 | 6 | 18 | 173:149 | 83 |
| ვანკუვერი | 68 | 36 | 8 | 4 | 20 | 197:158 | 84 |
| დალასი | 68 | 35 | 11 | 0 | 22 | 160:145 | 81 |
| კალგარი | 68 | 34 | 5 | 3 | 26 | 167:152 | 76 |
| ნეშვილი | 68 | 33 | 8 | 2 | 25 | 180:181 | 76 |
| სენტ ლუისი | 68 | 31 | 9 | 2 | 26 | 158:169 | 73 |
| ლოს ანჯელესი | 67 | 25 | 16 | 7 | 19 | 175:175 | 73 |
| ედმონტონი | 68 | 28 | 11 | 2 | 27 | 182:176 | 29 |
| ანაჰაიმი | 69 | 25 | 9 | 8 | 27 | 155:175 | 67 |
| მინესოტა | 68 | 21 | 19 | 2 | 26 | 145:153 | 63 |
| ფინიქსი | 68 | 20 | 16 | 5 | 27 | 169:205 | 61 |
| კოლუმბუსი | 68 | 20 | 8 | 4 | 36 | 146:196 | 52 |
| ჩიკაგო | 68 | 18 | 9 | 6 | 35 | 158:206 | 51 |

*პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან*

**ბომბარდირები:** სან ლუი (ტამპა) 80(32+48); ლანგი (დეტროიტი) 78(29+49); ტანგეი (კოლორადო) 77(25+52); ნეშლუნდი (ვანკუვერი) 75(32+43); საკიკი (კოლორადო) 74(29+45); კოვალჩუკი (ატლანტა) 73(36+37); ჰოსა (ოტავა) 71(30+41); ალფრედსონი (ოტავა) 70(28+42); ჰეიდუკი (კოლორადო) 66(32+34); იაგრი (რეინჯერსი) 66(27+39); რიჩარდსი (ტამპა) 66(22+44); სტილმანი (ტამპა) 66(22+44); სუნდინი (ტორონტო) 65(26+39); რეკი (ფილადელფია) 65(25+40)



REUTERS ბუდაპეშტიდან

# შვედების სიხარული

ბუდაპეშტში მიმდინარე ქარქვეშა მსოფლიო ჩემპიონატზე მძლეოსნობაში შვიდ მარტს შვედები ხარობდნენ. თანაც მხტომელები, თანაც ჩემპიონობა სავალდებულო არ იყო. კრისტიან ოლსონმა სამმაგ ხტომაში მსოფლიოს ქარქვეშა რეკორდიც დაამყარა (17,83 მ) და ოქროც მოიგო, სიგრძეზე მხტომელ კაროლინა კრაფტს კი მესამე ადგილზე გასვლა შეექნა საზეიმო. ბოლო, საპრიზო ნახტომის შემდეგ კაროლინას კუნთი გაეჭიმა და საკაცეზელა ზეიმობდა.



REUTERS ბუდაპეშტიდან

# სამურაი როსი

ვალენტინო როსი, მოტოსამყაროს მეფე „ჰონდასთან" სამწლიან კონტრაქტს აფორმებს. ამიტომაც თუ მისულა ტოკიოში გამართულ პრესკონფერენციაზე სამურაის პარიკითა და ხმლით.


REUTERS ტოკიოდან

# ეშლი მხრებზე

მთელი ძალით გახურებულა ამერიკის სტუდენტური საკალათბურთო შეჯიბრი. ახლოვდება „მარტის სიგიჟე" — ამ ჩემპიონატის ყველაზე ფერადოვანი კვირეული. ლექსინგტონში კენტაკის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ფლორიდელებს მოუგეს. მასპინძელთა ქომაგი ყოფილა მსახიობი ეშლი ჯადი, რომელიც ფეხნაღრძობიც კი მოსულა თამაშზე და მავანი გოლიათის მხრებზე მჯდომს გაუწევია ჩირლიდერობა.


REUTERS ლექსინგტონიდან

# არნოლდ კლასიკი

არნოლდ შვარცენეგერი გუბერნატორი კია, მაგრამ თავისი ძველი ხელობისთვის მაინც იცლის. მეთექვსმეტედ გაიმართა ბოდიბილდინგელთა შეჯიბრი „არნოლდ კლასიკი", რომელმაც დაასრულა „არნოლდის სიჯანსაღის უქმეები", ოჰაიოს ქალაქ კოლამბუსში რომ ჩატარდა. შვარცენეგერმა თავად გადასცა თავისივე ქანდაკი გამარჯვებულს, ლასვეგასელ ჯეი კატლერს.


REUTERS კოლამბუსიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge